№ 2

1877—1905

პარასკევი, 18 თებერვალი.

2

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія"

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

51

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 2
პარასკევი, 18 თებერვალი.

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში. ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ყოველ დღიური გაზეთი ✦ **„ცნობის ფურცელი"** ✦ წელიწადში მეათე

სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.	ფასი ჟურნალისა გაგზავნით წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.	საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი ✦ **„მოამბე"** ✦ წელიწადში მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.	ფასი ჟურნალისა გაგზავნით ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურც."	საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მან. 20 კ.

უ ფ ა ს ო დ გ ა ე გ ზ ა ვ ნ ე ბ ა

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის,—1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

ДОН-КИХОТИ

✦ დორეს სურათებით. ✦

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ ავალიშვილის** მიერ და შედარებულია **ვიარდოს** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 17000 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ

ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კონტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი; Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

პარასკევს, 18 თებერვალს,

ტფ. საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით, წარმ. იქნება:

ჰუგენოტები,

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მეიერბერისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდი, ტულლერი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვა, ზასლოვსკისა, ფერრარი; ბ-ნი: დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ბაგროვი, ზალინსკი და მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. უფრ. რეჟისორი გეცევიჩი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памяти Воронцову.

ტფილისის ექიმები.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ეხლანდელი დრო.

—

როგორც ყველამ იცის, დღეს დიდი პოლიტიკური ცვლილების ხანა დადგა რუსეთში. მართალია, ჯერ ყველა ამ „ცვლილების" მოლოდინსა და მზადებაშია და პრაქტიკულად არა გაკეთებულა რა, მაგრამ მაინც რომ რეფორმები უნდა მოხდეს,—თითოეულ შეგნებულ ადამიანს რუსეთის იმპერიაში სწამს და უეჭველადაც მიაჩნია, რადგან ძველი წეს-წყობილების შეცვლა თვით ცხოვრების მიმდინარეობამ გაჰხადა აუცილებელ საჭიროებად. ყველანი მოელიან სახელმწიფოს სხეულის განახლებას და ახალ საფუძველზე დამყარებას. უნდა მოისპოს ბიუროკრატიის თვით-მპყრობელობა და, მაშასადამე, თვით-ნებობა, უნდა მოისპოს სიტყვისა და პრესსის დამონება, ადამიანის პირად და მოქალაქობრივ უფლებათა უარყოფა და არ ცნობა; უნდა მიენიჭოს საზოგადოებას თავისუფლება, თვით-მართველობა, თავისი თავის პატრონობისა და მოვლის უფლება... მთელი რუსეთის პრესსა ამ ჟამად „საერობო კრებასა" და კონსტიტუციაზე ლაპარაკობს და მოსალოდნელ „გაზაფხულის" მოახლოვებით ჰხარობს. ერთის სიტყვით, გარემოება ისე მომართული, რომ ძირითადი რეფორმები უნდა იქმნეს შემოღებული და ხალხის გაზრდილი სოციალ-პოლიტიკური მოთხოვნილება — დაკმაყოფილებული.

ამ რეფორმებში, რა თქმა უნდა, ჩვენც, ქართველები, ვართ დაინტერესებულნი. ბიუროკრატიულ წყობილების უვარგისობა და მისი აუტანელი სიმძიმე ისე არსად არ არის საგრძნობელი, როგორც ჩვენს მხარეში, რომელსაც განშორებულ „ოკრაინას" ეძახიან და საცა „ჩინოვნიკი" ყველაფრის ბატონად და პატრონად არის დაყენებული.

ამიტომ რეფორმების შემოღება ჩვენშიაც ისეთივე აუცილებელია, როგორც შიდა რუსეთში. ამას დღეს ყველანი ვგრძნობთ. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ და შესაფერ საქმიანობასა და მეცადინეობას-კი ვერ ვიჩენთ. ჩვენს ინტელიგენციაში მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც გულწრფელად ფიქრობენ, რომ რახან რუსეთში წეს-წყობილება შეიცვლება და რეფორმები შემოღებული იქნება, ამისი მონაწილე და მოსარგებლე ჩვენც ვიქნებითო. იმათ წარმოუდგენიათ, რომ, რახან, საქართველო პოლიტიკურად დიდი რუსეთის ნაწილია, ამიტომ ახალი წყობილება და რეფორმები eo ipso ჩვენს მხარეზედაც იქნება გარეცელებული.

ასეთი დამამშვიდებელი იმედი და მოლოდინი დიდად მავნებელია,—იგი ანელებს ენერგიას და მოქმედებისადმი მისწრაფებას, და საჭიროა, რაც შეიძლება, მალე გავნთავისუფლდეთ ამგვარ ცარიელ იმედებისაგან. უნდა ვიცოდეთ, რომ არაფერი ერგება იმ ერს, რომელსაც არ შეუძლია თავის სასარგებლოდ ხმის ამოღება, თავის ინტერესთა დაკმაყოფილების მოთხოვნა და საკუთარ ხალხოსნურ პიროვნების გამოცხადება.

ასეა ეს საზოგადოდ. ხოლო კერძოდ რუსეთში ისეთი განსხვავებული სოციალ-პოლიტიკური გარემოება და პარტიათა განწყობილება არაა, რომ შეგვეძლოს იმედებით გაჩერება და მოლოდინში დროს გატარება. ახალ წყობილების დამყარებით რუსეთში ყველაზე უწინ გზა ეხსნება ბურჟუაზიას, რომელიც არსად არ არის, მაინცა-და-მაინც, ხელგაშლილი და მით ნაკლებ ხელგაშლილია იგი რუსეთში. მას საკუთარი სარგებლობა ახსოვს და მასზე ზრუნავს, ხოლო საკითხი სხვა ერებისა, რომელნიც რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა ნაწილს შეადგენენ, მაგდენად არ ახსოვს და არ აინტერესებს.

გუშინ გვქონდა მოხსენებული „რუსკ. ვედ."-ის აზრი შესახებ ნაფიც მსაჯულთა დაწესებულების შემოღებისა ჩვენში. გაზეთის აზრით, ჩვენ თურმე მოუმზადებელნი ვართ კარგ სასამართლოსთვის. „რუსკ. ვედ."—კი საუკეთესო ლიბერალური გაზეთია მთელს რუსეთში. მაშინ, როდესაც რუსის ბურჟუაზია კონსტიტუცისთვის მომზადებულად სთვლის თავის თავს, ჩვენთვის არა თუ თავისუფალი წეს-წყობილება და ფართო თვით-მართველობა არ ემეტება, სამართლიანობის პრინციპის შესაფერი, და განმხორციელებელი სამჯავროც-კი მეტად და შეუფერებლად მიაჩნია.

და ეს ერთად ერთი განკერძოებული ფაქტი არაა რუსეთის ლიბერალურ პრესსაში. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული, მაგალითად, გაზ. «რუს»-ში ერთ „ლიბერალს", გვარად ვოლსკის, რომელიც, თავის წერილში ამტკიცებს „საერობო კრების" მოწვევის საჭიროებას, ასახელებს ზოგიერთ პროგრესიულ პირობებს, რომელიც დაცულ უნდა იქმნეს ამ კრების მოწვევის დროს, და დასძენს, რომ „საერობო კრებაში, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლონეთს, ფინლიანდიას და კავკასიასო.".

ეს არის აზრი, რომელიც ბევრ რუსის ლიბერალს გულში უდევს, მაგრამ გამოცხადებით მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გამოაცხადებს ხოლმე საჯაროდ. ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ როგორ მავნებელი და საზარალოა ჩვენთვის ის „ტაქტიკა"—„ჩუმად და წყნარად ყოფნა", რომელიც ჩვენს ძველ მოღვაწეებს აქვთ შეთვისებული. სიჩუმე კი არა, სწორედ ეხლაა მოძრაობისა და თავის მოთხოვნილებათა ხმა-მაღლა გამოთქმის დრო. უნდა გაიგოს მთელმა რუსეთის საზოგადოებამ და დარწმუნდეს, რომ ჩვენი ხალხი ვერ შეურიგდება სახელმწიფოს და მასში ყოველთვის თავის მტერს დაინახავს, თუ იგი მოძულებულ გერად იქნება აღიარებული და უფლებებსა და რეფორმებს-მოკლებული.

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. რომ კიდეც ჩვენი მხარე არ გამოაკლონ რეფორმების მხრით შიდა რუსეთს და ჩვენშიაც რომ აღიარებულ იქმნეს ახალ წყობილების საფუძველი, მაშინაც ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით და ვერ ვისარგებლებთ რეფორმებით, თუ მხედველობაში მიღებული არ იქნება ჩვენი ეროვნულ-ხალხოსნური საჭიროებანი და ინტერესები.

თავისუფლება პრესსისა არ არსებობს იქ, სადაც არ არსებობს თავისუფლება ენისა; არ არის კრების თავისუფლება იქ, სადაც ერთ რომელსამე ენაზე ლაპარაკია სავალდებულოდ გამოცხადებული; თავისუფლება სინიდისისა არ არსებობს ნამდვილად, თუ მორწმუნე კაცს არ შეუძლიან მოისმინოს ლოცვა იმ ენაზე, რომელიც მას ესმის და გაეგება; არ არის შექმნილი პირობები ერის თავისუფალ განვითარებისა, თუ ტერიტორიასა და ისტორიულად დაჭერილ მიწა-წყალს ძალმომრეობით ხელიდან გამოგვაცლიან და სხვა-და-სხვა.

საქართველო არ არის უბრალო „გუბერნია" რუსეთის იმპერიისა; აქ არ ცხოვრობს იგივე ხალხი, რომელიც ცხოვრობს მოსკოვისა ან პერმის გუბერნიაში, არ არის აქ ცხოვრების ისეთი პირობები და გარემოება, როგორიც რუსეთის შიდა გუბერნიებშია. ჩვენი სამშობლო დღეს რუსეთის ნაწილს შეადგენს, მაგრამ მას აქვს თავისი განსაკუთრებული საჭიროება-მოთხოვნილებანი. რეფორმებს ჩვენში მხოლოდ მაშინ ექნება მართალი რეფორმების ძალა და მნიშვნელობა, როცა ისინი ხსენებულ მოთხოვნილებებთან იქნებიან შეთანხმებულნი. უამისოდ „რუსულ" რეფორმას, თუ მას ცნობილი „გარუსების სურვილი" დაედვა საფუძვლად, ჩვენთვის არავითარი სასარგებლო და წინ-წამწევი მნიშვნელობა არ ექნება.

აი, ეს არის მეორე მიზეზი, რომ ჩვენთვის არ კმარა და არც ვარგა რუსეთის ლიბერალთა მოძრაობით დაკმაყოფილება და შიდა რუსეთში მოსალოდნელ ცვლილების იმედით დარჩენა. ჩვენ ერთ წამსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გვაქვს ეროვნული მოთხოვნილებანი, რომელთა დაუკმაყოფილებლად ჩვენს ერს არ შეუძლია არავითარ რეფორმებით სარგებლობა და თვის ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება.

და რომ ეს ჩვენი მოთხოვნილებანი ცოტათი მაინც დაკმაყოფილებულ იქმნეს, ამისთვის საჭიროა ენერგიულად მოთხოვნა და თავის სურვილის ხმა მაღლა გამოცხადება.

ჩვენ კი რას ვშვრებით? ვიღებთ კი ხმას და ვაგებინებთ ქვეყანას როგორც ზოგადს, ისე ჩვენს კერძო ქართულ გაჭირვებასა და შევიწროებას?

კმარა, ბატონებო, სიჩუმე! ეხლა დროა, ხმა ამოვიღოთ და ენერგიულად ვიმოქმედოთ!

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

16 თებერვალი.

სტამბოლი, 16 თებერვალი. კვირა ღამეს ბოლგარელ აჯანყებულებმა სოფელ ფორინთან მოჰკლეს ორი მღვდელი და ორი გლეხი კაცი.

ვარშავა, 16 თებერვალი. პრივისლიანის რკინის გზების დირექტორმა უბრძანა ყველა მოსამსახურეებს, თავის ადგილას ნუ მოშორდებითო, რადგანაც დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიანო. მატარებლის მიმოსვლა არ შეჩერებულა. გაძლიერებული დაცვის წესები იქმნა შემოღებული კელეცის, ლიუბლინის, ლომჟის, პოლოცკის და სუვალკის გუბერნიებში.

ტფილისი, 16 თებერვალი. ოზურგეთის მაზრა, მის გარშემო მდებარე ქუთაისისა და სენაკის მაზრის ნაწილები და კინტრიშის საბოქაულო ამბოხების ბუდედ გადაქცეულა. ამ ადგილებში მშვიდობიანობის დასამყარებლად გაიგზავნა გენერალი ალიხანოვი, რომელსაც მიენიჭა ამისთვის საგანგებო უფლებები. მის ხელქვეითობით გაგზავნილია დიდი სამხედრო რაზმი.

გენუა, 16 თებერვალი. ფრიდრიხ-ლეოპოლდი მეორეულ აღმოსავლეთში წავიდა.

ბერლინი, 15 თებერვალი. ახალი საბაჟო ტარიფი ძალაში შევა 1906 წლის 16 თებერვლიდან.

პეტერბურგი, 16 თებერვალი. დღეს ხელ-მოწერილი იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრის და დანიის ელჩის მიერ პირობა, რომლის ძალით რუსეთისა და დანიის შორის ყოველი უთანხმოება სამედიატორო სამართალმა უნდა გადასწყვიტოს.

პეტერბურგი, 16 თებერვალი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგა დონის ჯარის ატამანი გენერალი მაქსიმოვიჩი.

პარიჟი, 16 თებერვალი. ფერ-დემორმა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვაზე ლაპარაკის დროს პალატის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გერმანიამ საზღვარზე ახალი სიმაგრეები ააგო. დეპუტატი თავის მხრივ თხოულობდა ნანსის გამაგრებას.

ბერლინი, 16 თებერვალი. რომს, ბრიუსელს, ბერნსა და ბელგრადში გერმანიის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს იტალიასთან, ბელგიასთან, შვეიცარიასა და სერბიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ. რეიხსტაგში სამხედრო მინისტრმა მოითხოვა ჯარის გაძლიერება; მისი აზრით, ცხენოსანთა ჯარს უნდა მოუმატოს 9 პოლკი, ქვეითას—8 ბატალიონი, 4 საველე არტილერია, 3 დამზვერი და 1 სატელეგრაფო რაზმი. საჭიროა ამისთვის 62 მილიონი მარკა ერთბაშად და ყოველ-წლიურად 12 მილიონი ზედმეტი ხარჯი.

ლონდონი. [illegible] წყაროებიდან იუწყებიან, რომ მაკედონიაში სტრუმიცის მახლობლად დიდი სისხლის ღვრა არისო. ამ სოფელში 12 ბოლგარელი აღმოაჩინეს, ერთი ჟანდარმებმა მოჰკლეს, დანარჩენები დაჭრეს. აკლებულია სოფელი, რომელშიაც 130 სული სახლობდა. სახლები გადიწვა. საღამომდის 36 კაცის და ერთი ქალის დახოცვა მოასწრეს, 70 ქალი გააუპატიურეს.

ლონდონი. მიწათ-მოქმედების მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ გულის კომისიის გადაწყვეტილებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ომს მშვიდობიანად საქმის გადაწყვეტა სჯობია.

სტამბოლი. 15 თებ. მაკედონიაში და ადრიანოპოლის ოლქში ისევ გზავნიან იარაღს, ცხენებსა და სამხედრო მასალას.

ჰამბურგი, 16 თებ. აფრიკაში გაგზავნეს 45 ოფიცერი და 500 ჯარის კაცი.

ლონდონი, 16 თებ. ცნობილი ირლანდიელი მამულიშვილი დევეტი, რომელიც ახლახან დაბრუნდა რუსეთიდან, უგზავნის ფულს რუსეთის მუშათა დამხმარე საზოგადოებას და სწერს: „კიდევ მეტს შემოგწირავდი თქვენს საზოგადოებას, დარწმუნებული თუ ვიქნებოდი, რომ ეს ფული ნამდვილს სამსახურს გაუწევს რუსეთის მუშებს. დაწვრილებით გამოვიძიე თანამედროვე მოძრაობა პეტერბურგს, მოსკოვსა, ჰელსინგფორსს და ვარშავაში და ვფიქრობ, რომ ინგლისელების დახმარება მუშათა საქმეს რუსეთში სარგებლობის მაგიერ ზარალის მოუტანსო. მთავრობას ექნება საბუთი იფიქროს, რომ მოძრაობა გამოწვეულია ინგლისელების ფულით. ბოლოს დევეტი აითხება: რა გრძნობებს გამოიწვევდა რუსეთი, ინგლისში გაფიცულ მუშებისათვის ბურებთან ბრძოლის დროს რომ აღმოეჩინა რამე დახმარებაო.

მოსკოვი. 16 თებერვ. გუბერნიის საერო კრებამ გადასწყვიტა, შუამდგომლობა აღძრას 900,000 მანეთის სესხის შესახებ, რომელიც შემდეგ სათადარიგო ჯარის კაცთა ცოლ-შვილს უნდა დაურიგდეს.

პლოცკი, 16 თებ. გუბერნიაში შემოღებულია გაძლიერებული დაცვის წესები.

ხარკოვი, 16 თებერვალი. ყველა ქარხნების სახელოსნოებისა და სამრეწველო დაწესებულებათა მუშებმა დაიწყეს მუშაობა. ცხოვრებამ ჩვეულებრივი სახე მიიღო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

პეტერბურგი, 16 თებ. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 14 თებერვლის თარიღით: სოფ. ბენ-ეპუძთან იაპონელები ჩვენზე იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. 14 თებერვალს ჩვენმა თავ-გამოდებულმა რაზმებმა სანდეპუს დასავლეთით გაუჭირვეს საქმე მტრის ჯარს და ალიაქოთი აუტეხეს. ხელით სასროლმა ყუმბარებმა მტრის ჯარში ცეცხლი გააჩინა. 10 საათზე მოვიდა ამბავი, რომ ჩვენებს შახესთან მდებარე ხიდი დაეჭირათ. აგრეთვე ხელში ეგდოთ დიდი სამხედრო მასალა და ფუგასები მავთულები დაეჭრათ. 10 თებერვალს გოუტულინის პოზიცია დიდის ბრძოლის მიუხედავად ჩვენ. ხელში დარჩა.

ტოკიო, 16 თებ. (რეიტერი). ფინანსისტების აზრით ხელის მოწერა შინაურ სესხზე საჭირო ჯამს ძლიერ გადააჭარბებს. ბანკების წარმომადგენელებმა განაცხადეს, რომ თვით 60 მილიონის ბილეთზე მოაწერენ ხელს, იმპერატორის ოჯახობა და ხუთი კერძო საზოგადოება 40 მილიონისას იღებენ. ოკუმამ სთქვა, რომ ფინანსიური სიძლიერე იაპონიისა ჩვენ მეგობრებსაც აოცებსო. იაპონია გაუჭირებლად განაგრძობს ომსაო.

ტოკიო, 16 თებ. სამხედრო მინისტრმა მიმართა გუბერნატორებს და გააფრთხილა, რა შეიძლება მეტი მზრუნველობით მოეკიდეთ ტყვეებს, რომ ამით თავიდან ავიცილოთ ყოველნაირი ჭორი, ვითომც ტყვეებს ცუდად ვეკიდებითო.—კონსტიტუციონალისტების პრეზიდენტმა პარლამენტში მოითხოვა, რომ საჭიროა ომი ბოლომდის გაგრძელდეს ხანგრძლივ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათო.

სახეტუნი, 16 თებ. სამი საათი იქნებოდა, რომ იაპონელებმა პუტილოვის გორაკს საალყო ზარბაზნები დაუშინეს. მარჯვენა ფრთეზედა თოფის სროლა ისმის.

ლონდონი, 16 თებ. იაპონელების უმთავრესი შტაბი. 15 თებერვალს რუსებმა ტუნვოშანში თოფის სროლა ასტეხეს. იაპონელები ჩუმად იყვნენ. ორშაბათს ღამე რუსებმა საველე ზარბაზნები დაუშინეს ჩვენს წინა სიმაგრეებს ხიდის ახლო. ღამის პირველ საათზე სიმაგრეებს გარს შემოუარა რუსების ხუთმა როტამ. თხრილებში ცხარე ხელ-ჩართული შეტაკება მოხდა. დილის სამ საათზე მოწინავე რაზმებმა განდევნეს რუსები, რომელთაც ბრძოლის ველზე დატოვეს 60 მოკლული, რამდენიმე ტყვე [illegible] სათი. (რეიტერი).

სახეტუნი, 16 თებ. აღმოსავლეთ [illegible] მა რაზმმა იაპონელების იერიში [illegible] გოუტულინის მიდამოში პატარ [illegible] ბები ხდება. ხიდთან მდებარე [illegible] ბრძოლის შემდეგ ისევ იაპონელ [illegible] ხმა დადის, რომ კოლომამდის მიაღწია [illegible] თა ერთმა დივიზიამ.

ტოკიო. — [illegible] დეპეშაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ჯარმა ოთხჯერ სცადა იერიშის მიტანა, მაგრამ უკან დაიხიეს. რუსები თხრილებს ამზა[illegible] —პარლამენტის დახურვის დროს წაკითხულ იქმნა მიკადოს განცხადება, სადაც ის სიამოვნებით აღნიშნავს ორივე პალატის შეთანხმებულ მოქმედებას. იაპონელთა ჯარები ყინვას [illegible] იტანენ.

იოკაჰამა, 14 თებ. მანჯურიაში ამინდი [illegible]. ხმა დადის, რომ ხუნხუზებმა რუსებს ჩრდილოეთისკენ გზა მოუჭრესო.

ტოკიო. ბრძოლის შემდეგ რუსებმა ცინხენჩენიდან ჩუფუნტაისკენ დაიხიეს. იაპონელები [illegible] იმარჯვებენ. 10 თებერვალს იაპონელებმა ორივე მხრიდან დაიწყეს იერიში. რუსები ჩრდილოეთისკენ განდევნეს. რუსებმა დაკარგეს 1000 კაცი. ამბობენ, სობაცხთანაც მოხდა ბრძოლა: იაპონელებმა აიღეს რუსების პოზიციაო. როგორც მოხსენებიდან სჩანს, იაპონელებმა ხელთ იგდეს 200 თოფი, 100000 პატრონა, რუკები და ტელეფონის მოწყობილება. 24 რუსი ტყვეთ წაიყვანეს.

პეტერბურგი. 16 თებ. სტესელის შეხვედრა. დიდ-ძალი ხალხი შეხვდა პორტ-არტურის მცველს. სხვათა შორის სადგურზე იყო სამხედრო მინისტრი, გენერალი ვიაზემსკი, უმთავრესი შტაბის უფროსი ფროლოვი, გენერალი ბოგდანოვიჩი, შტალმეისტერი სოლომონი და სხ. მატარებელი რომ გაჩერდა, ბოგდანოვიჩმა სთქვა, რომ ვაჟკაცურმა მოქმედებამ სტესსელისამ მთელი ქვეყანა გააოცა და ყველა ის სახელოვანი ამბავი, რომელიც აქამდის სამხედრო ისტორიაში ყოფილა ჩაწერილი, არაფრად სჩანს იმ საგმირო საქმესთან, რომელიც გენერალმა ჩაიდინა. თქვენ რუსეთიდან წახვედით იმედით და ძალ-ღონით სავსე. თქვენ გრწამდათ მომავალი გამარჯვება, [illegible] დღეს სამშობლო შეწუხებულია ერთის [illegible] ბრძოლის ველზე დამარცხებისა გამო, [illegible] მხრივ ფარულ და შინაურ მტრების, მო[illegible]ებით, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას აფერხებს, მაგრამ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საღი გონება ჩვენი ერისა დასძლევს შინაურ ცხოვრების არეულობას და ღვთით ჩავაქრობთ შინაურ ცეცხლს და შორეულ აღმოსავლეთშიაც ჩვენს მიზანს მივაღწევთ. პასუხად სტესელმა სთქვა, რომ რუსეთი ყოველთვის იყო და იქნება ერთგული თავის ხელმწიფისა.

ტოკიო, 14 თებ. ამბობენ, რომ ვლადივოსტოკი გამაგრებულიაო. მეციხოვნეთა რიცხვი [illegible]0,000. ქალები და ბავშვები გახიზნესო. სანოვაგის ფასმა ძლიერ იმატა. კრეისერი „როსია" ხშირად გადის ზღვაში. „გრომობოი" და „ბოგატირი" ჯერ შეკეთებული არ არის. შვიდ ნაღმოსანთაგან სამი ყინულშია ჩაჭერილი. ნავთსადგურში რვა კომერციული გემი სდგას.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. იაპონელებს შტურმით აუღიათ ფუნფალინის ქედის ნაწილი. უანფალინის ქედი მანიაპუზას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენაა 25—30 ვერსის მანძილზე. ეს ქედი ფუშუნის გზას იცავს და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

სანამ კუროკის ჯარი ბრძოლით წინ მიიწევდა, ნოძუსა და ოქუს ჯარი [illegible] და ბრძოლაში არ ერეოდა. ეხლა კი ნოძუს ჯარმაც ხელი გაანძრია და, დღეს თუ ხვალ, ბრძოლაში ჩაერევა. ჯერ-ჯერობით კი იაპონელებმა რუსების შუბლის უძლიერეს პოზიციას—პუტილოვის გორას—საალყე ზარბაზნები დაუშინეს და მთელ გორას ბოლი ადინეს. დეპეშით იუწყებიან, პუტილოვის გორას იაპონელთა ყუმბარებისაგან სულ მტვერი და ბოლი ასდისო.

დასავლეთ ფრონტზედაც ხანგამოშვებით ზარბაზნების სროლა იყო. რუსებმა იაპონელებზე ოთხჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ ოთხჯერვე უკუქცეულ იქმნენ.

ტოკიოდან მოსულ დეპეშიდან სჩანს, რომ იაპონელებს შესამჩნევად გაუმარჯვნიათ. იაპონელების ორივე ფრთეს წინ წაუწევია, რუსებისათვის მრავალი მნიშვნელოვანი პოზიცია წაურთმევია და რუსები უკან დაუხევია. მეორე დეპეშა იუწყება, სამბანძის ჩრდილოეთით, 30 კილომეტრის მანძილზე იაპონელებმა რუსები ცხარე ბრძოლის შემდეგ პოზიციებიდან განდევნეს და 200 თოფი, 100,000 პატრონა, რუკები და ტელეფონები წაართვეს და 24 კაცი ტყვედ წაიყვანესო.

ხმა დადის, ხუნხუზებმა მუკდენის ჩრდილოეთის რამდენიმე ვერსის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭეს, ხიდი დაანგრიეს და გზა ორის კვირით შეკრესო. თუ ეს ხმა მართალია, რუსეთის ჯარი დიდ საფრთხეში ყოფილა ჩავარდნილი. (რ. ვ.)

გენ. კუროპატკინი და გრიპენბერგი. „ეკოდეპარი"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: პეტერბურგში გრიპენბერგს ცუდიერად დაუხვდნენ. იმის ლაპარაკი კი მოისმინეს, მაგრამ პასუხი მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ მისცეს. გრიპენბერგს უთხრეს, ისევ მანჯურიაში უნდა დაბრუნდე და კუროპატკინს დაემორჩილოო. უმაღლესი სამხედრო კაცები გრიპენბერგს ძალიან ცერად და სასტიკის თვალით უცქერიან და თხოულობენ, გრიპენბერგი უეჭველად უნდა დაისაჯოს, რადგან სამხედრო წესი დაარღვია და ბრძოლის ველს თავის ნებით დაანება თავიო. მაგრამ არც გრიპენბერგია ჩუმად და თავის სიმართლეს ამტკიცებს. ის ყველას ეუბნება, კუროპატკინს რაღაც-რაღაცები ელანდებაო. როცა წინ წავიწიე—ამბობს გრიპენბერგი,—კუროპატკინს მოელანდა, ვითომ იაპონელები იმის ცენტრის გარღვევას აპირობდნენ; ნამდვილად კი—იაპონელები არაფერსაც არ აპირობდნენ. კუროპატკინი მეტის-მეტად ნერვებ აშლილი კაცია და ყოველთვის და ყოველ ნაბიჯზე ათასი, ასი ათასი და მილიონი იაპონელი ელანდება. გარდა ამისა, გრიპენბერგი ამბობს, კუროპატკინი შეუგუებელი კაციაო. თუ ჩემი არა გჯერათ, მე-3 ლაშქრის უფროსს, გენ. ბილდერლინგს ჰკითხეთო. კუროპატკინს ვერც ბილდერლინგი შეურიგდა და ისიც რუსეთში აპირობს წამოსვლას. პირადად მე—ამბობს გრიპენბერგი—კუროპატკინს არ ვემდურები და მგონი, არც ის უნდა მემდურებოდეს. ამას ისიც ამტკიცებს, რომ, როცა ბრძოლის შემდეგ უკან დავიხიე და ჩემი უკმაყოფილება გამოვაცხადე, კუროპატკინმა დეპეშით მთხოვა, თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ და გამაგებინეთ, ყველაზე მეტი ჯარი იაპონელებს სად უდგათო.

გარდა ამისა, გრიპენბერგს უსაყვედურეს, სანამ ოფიციალურად არ წარუდგებოდით მთავრობას, მანამდე ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტთან არ უნდა გელაპარაკნათო. მაგრამ გრიპენბერგი თავს იმართლებს და ამბობს, იმ დროს ზოგიერთა ფაქტებით იმდენად ვიყავი აღელვებული, რომ თავის შეკავება არ შემეძლო და ყველას გული გავუხსენიო. (ბ. ი.)

ხმები ზავის შესახებ. ერთი თვის განმავლობაში მთელი ქვეყნის პრესსა დაჟინებით სწერდა, დღეს თუ არა, ხვალ რუსეთი და იაპონია შერიგდებიან და შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო; მაგრამ ამ ცოტა ხანში რუსეთმაც და იაპონიამაც ეს ხმა უარჰყვეს და გამოაცხადეს, ზავი ჯერ კიდევ შორს არისო. იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტმა საქვეყნოდ გამოაცხადა, ზავი ისე შორს არის, რომ ამაზე ეხლა ფიქრიც კი არ შეიძლებაო. სანამ რუსეთი საბოლოოდ არ დამარცხდება, იაპონია მახვილს ხელიდან არ გაუშვებს და ქარქაშში არ ჩააგებსო. ამის შესახებ «ნ. თ. პრ.»-ს ტოკიოდან დეპეშით ნათქვამია, ეხლა ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკი სისულელეაო. ბრძოლის ველიდან ამბავი მოდის, რუსები ახალ რკინის გზებს აკეთებენ, ჯარს იშველებენ, პოზიციებს ამაგრებენ და, მაშასადამე, ზავზე სულაც არ ფიქრობენ. გამარჯვებული იაპონია ზავს არ მოითხოვს. თუ რუსეთი გამოტყდება და იტყვის, დავმარცხდი და მოდი შევრიგდეთო, კეთილი და პატიოსანი, შევურიგდებით; ისე კი, სანამ ჩვენი ჯარი თავის წადილს არ აასრულებს და რუსეთს მანჯურიიდან არ განდევნის, იაპონია ზავს არ მოითხოვსო.

ეხლა ცხადია, რომ ომი ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება და ზავზე ლაპარაკიც ადრეა (ბ.ი.)

განათლება. იაპონიის ელჩს ჰონოტოს პარიზში უთქვამს: როცა მთელი ქვეყანა იაპონიას ისე უყურებდა, როგორც მშვენიერ მხატვრების ქვეყანას, ყველა ამბობდა, იაპონია ბარბაროსთა ქვეყანააო; ეხლა კი, როცა დავამტკიცეთ, რომ ჩვენ ხალხის ჟლეტაც ჩინებულად ვიცით, მთელი ქვეყანა ამბობს, იაპონია განათლებული სახელმწიფოაო (ს.).

რუსეთ-იაპონიის ომი ხმელეთზე ერთი წლის განმავლობაში. იაპონელებმა ზღვაზე გაიმარჯვეს, მაგრამ არც ხმელეთზე დამარცხდნენ. ომის დასაწყისს კორეიაში გენ. კუროკის ლაშქარი (65,000 კაცი) გადმოვიდა და მდინარე იალუსაკენ გაემართა. რუსები წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ და უკანუკან იხევდნენ. კუროკიც ფეხ-და-ფეხ მოსდევდა. აპრილის დამდეგს რუსები იალუს ნაპირზე გამაგრდნენ (30,000 კაცი გენ. ზასულიჩის უფროსობით) და უნდოდათ, კუროკის ჯარი მანჯურიაში არ შემოეშვათ. ლიაოიანიდან ზასულიჩს მაშველი ჯარი გაუგზავნეს, მაგრამ კუროკიმ აღარ აცალა, 18 აპრილს რუსებზე მედგარი იერიში მიიტანა, გაღმა გავიდა, რუსებს გვერდიდან დაეცა და საშინლად დაამარცხა. რუსებს დაუჭრეს და მოუკლეს 2400 კაცი; იაპონელებს—700. იაპონელებმა რუსებს 30 ზარბაზანი წაართვეს და 600 რუსი დაატყვევეს. კუროკიმ მეორე დღესვე ფინ-ხუანჩენი აიღო და იალუდან ფენშულინის ქედამდე გაბატონდა. 22 აპრილს მანჯურიაში გადმოვიდა მეორე ლაშქარი იაპონელებისა (მარშალის ოქუს უფროსობით), პორტ-არტურს გზა მოუჭრა და მაისის დამდეგს თითქმის მიუვალს ციხეს, ცინ-ჯოუს მიადგა. 13 მაისს ოქუმ გენ. ფოკზე იერიში მიიტანა, რუსები დაამარცხა და 82 ზარბაზანი წაართვა. რამდენისამე დღის შემდეგ იაპონელება დალნი აიღეს და პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს. იაპონელების ჯარი ჩრდილოეთისკენ გაემართა. კუროკიმ 15 და 25 მაისს რუსები ორჯელ დაამარცხა და საიმაძი წაართვა. 6 მაისს მანჯურიაში გადმოვიდა იაპონელების მესამე ლაშქარი (მარშალ ნოძუს უფროსობით). კუროპატკინმა პორტ-არტურის დასახსნელად გენ. შტაკელბერგი გაგზავნა (45,000 კაცით), მაგრამ წინ ოქუ გადაეღობა, 1 ივნისს შეებრძოლა, რუსები დაამარცხა, 6,000-მდე კაცი დაუჭრა და მოუკლა, 17 ზარბაზანი წაართვა და უკანვე გამოაბრუნა. შტაკელბერგის საშველად ზარუბაევი წამოვიდა, მაგრამ გვიან-და იყო: კუროკი და ნოძუ დაიძრნენ და 6 დღის ბრძოლის შემდეგ (9—14 ივნ.) გენერლები მიშჩენკო, კელლერი და ალექსეევი დაამარცხეს და დალინისა და ფენშულინის ქედები წაართვეს. ზარუბაევმა ძალა-უნებურად უკან დაიხია. 26 ივნისს გენ. ოქუმ შტაკელბერგი ხელმეორედ დაამარცხა და გაი-ჯოუ წაართვა. კუროპატკინმა მეოთხედ სცადა პორტ-არტურის დახსნა, მაგრამ ბედმა ისევ უმტყუნა: 4 ივლისს კელლერმა კუროკიზე დიდის ჯარით მიიტანა ერიში, მაგრამ კუროკიმ უკუ-აქცია, სიხეინთან თვითონ მიიტანა რუსებზე იერიში, 2000-ზე მეტი კაცი დაუჭრა და მოუკლა, რამდენიმე ზარბაზანიც წაართვა და წინ გაემართა. ერთი კვირის შემდეგ (10 და 11 ივლისს) დაშიჩაოსთან ოქუმ გენ. ზარუბაევი დაამარცხა (რუსების ზარალი—1000 კაცი), ინკოუ წაართვა და რუსები ზღვას სამუდამოთ დააშორა. ამ დროს იაპონიის ყველა ჯარის უფროსობა მარშალმა ოიამამ ჩაიბარა და ლიაოიანისაკენ გაემართა. 18 ივლისს კუროკიმ გრაფი კელლერი დაამარცხა, 19 ივლ. დაამარცხა გენერალი გერშელმანი (რუსების ზარალი—2100 კაცი). ამ ბრძოლაში იაპონელებმა რუსებს მოუკლეს გენ. კელლერი და წაართვეს 5 ზარბაზანი. 18 ივლ. მარშალი ნოძუ შეება გენ. ზასულიჩს (რუსების ზარალი—2000 კაცი), დაამარცხა, 6 ზარბაზანი წაართვა და წინ გაემართა. 21 ივლ. ოქუმ ხაიჩენი აიღო. ამავე დღეს იაპონელების სამი ლაშქარი შეერთდა.

რუსეთის ჯარი (210,000 კაცი) ლიაოიანში გამაგრდა. 11 აგვისტოს იაპონელები ლიაოიანს მიესივნენ. 19-ს გენერალი კუროკი ტაიძიხეს გაღმა გავიდა და რუსებს გზის მოჭრა დაუპირა. კუროპატკინმა მეხუთედ მიიტანა იერიში კუროკის ჯარზე, მაგრამ ისევ დამარცხდა. 10 დღის ბრძოლის შემდეგ რუსეთის მთელი ლაშქარი დამარცხდა, იაპონელებს ლიაოიანი, 21 ზარბაზანი და აურებელი სურსათი და სამხედრო მასალა დაუტოვა და უკან დაიხია (რუსების ზარალი—20,000 კაცი, იაპონელებისა—ცოტა ნაკლები). რუსებმა ერთი თვე დაისვენეს, 300,000 კაცი მოაგროვეს და 22 სექტემბერს მეექვსეთ სცადეს პორტ-არტურის დახსნა, მაგრამ 5 დღის ბრძოლის შემდეგ (26-30 სექ.) ძალზე დამარცხდნენ, ისევ უკან დაიწიეს და მდინარე შახეზე გამაგრდნენ. ამ ბრძოლის დროს რუსებს დაუჭრეს და მოუკლეს 45,000 კაცი და 50-მდე ზარბაზანიც წაართვეს (იაპონელების ზა[illegible] ათასი კაცი და 14 ზარბაზანი). სამი თვის განმავლობაში ბრძოლის ველზე სიწყნარე ჩამოვარდა. მხოლოდ დროგამოშვებით აქა-იქ პატარ-პატარა შეტაკება ხდებოდა. წელს 12 იანვარს რუსებმა სიწყნარე დაარღვიეს. გენ. გრიპენბერგის ლაშქარი (100,000 კაცი) წინ გაემართა, იაპონელებს რამდენიმე სოფელი წაართვა, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა და უკანვე დაიხია (რუსების ზარალი—15,000, იაპონელებისა—7,000). ეხლა ორივე მხარემ დაისვენა, ძალა მოიკრიბა და, დღეს თუ ხვალ, ბრძოლის ველზე ისევ დიდი ამბები უნდა მოხდეს. მდინარე შახეს ნაპირებთან ურიცხვი ჯარი შეიკრიბა (400,000 რუსი და 250,000 იაპონელი) და 120 ვერსის სიგძეზე გაიჭიმა.

რუსების განუწყვეტელმა დამარცხებამ პორტ-არტურის ბედი გადასწყვიტა. გენ. ნოგის ჯარმა გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ (11—13 და 21—23 ივნ.) კვანტუნის ნახევარი ხელში ჩაიგდო. ივლისის შუა რიცხვებში იაპონელებმა აიღეს პორტ-არტურის ყველა მოწინავე პოზიცია და მგლის გორები. ამის შემდეგ იაპონელებმა პორტ-არტურს ყოველ მხრიდან მჭიდრო ალყა შემოარტყეს და დღითი-დღე ციხეს რკინის რკალივით ერტყმოდნენ. 13-დან 22 ნოემბრამდე იაპონელებმა პორტ-არტურის სიმაგრეთა პირველი რიგი შტურმით აიღეს, 203 მეტრიან გორაზე საშინელი 11 დიუმიანი ზარბაზნები დადგეს, გემებს ყუმბარები დაუშინეს და იქაურობა მიანგრ-მოანგრიეს. 6 დეკემბერს შტურმით აიღეს კიკვანშანის ფორტი, 16—19-მდე ჩრდილოეთ ფრონტის დანარჩენი ფორტებიც ხელთ იგდეს და ციხეს ბოლო მოუღეს. პორტ-არტურში იაპონელებს აურებელი დავლა დარჩათ: 600-ზე მეტი ზარბაზანი, აურებელი სამხედრო მასალა, სურსათი, სახელოსნოები, დოკები, გემები და სხ. ტყვედ წაიყვანეს 32000 კაცი. მთელი წლის განმავლობაში რუსების ზარალი 300.000-მდე კაცს შეადგენს; იაპონელებისა—150.000-მდე. იაპონელებმა რუსებს სულ 800-მდე ზარბაზანი წაართვეს, რუსებმა—14.

ამ ერთი წლის განმავლობაში რუსეთი ყოველგან და ყოველთვის მარცხდებოდა. იაპონელებმა დაიჭირეს კორეია, აიღეს კვანტუნი, ლიაოდუნი და მუკდენამდე მიაღწიეს. (რ. ვ.)

რუსეთ-იაპონიის ომის მიზეზი.

წელიწადზე მეტია, ომობს მანჯურიაში რუსეთი,—ათა-ათასობით იჟლიტება ბრძოლაში ხალხი, იხარჯება აურებელი ფული,—ყველა გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ომის საშინელ ამბებს და მაინც დღემდის არ იცის უმეტესობამ, რა იყო ამ ომის ნამდვილი მიზეზი.

მართალია, მწერლობაში აქა-იქ ასახელებენ სხვა-და-სხვა მიზეზს, ამბობენ, რომ რუსებს ჰქონდათ კორეაში აღებული იჯარით რაღაც ტყეები და რომ ამ საქმეში ქონებრივად იდებდნენ მონაწილეობას რუსეთის სხვა და სხვა ცნობილი პირებიც...

მაგრამ ცოტაოდენი დაკვირვება საკმარისია იმისთვის, რომ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც მოვნახოთ.

რუსეთ-იაპონიის ომი იყო აუცილებელი, დღეს

ფელეტონი

პოლონელთა ეროვნული მოთხოვნილებანი.

[illegible]ონელები [illegible]რგებლობენ ეხლანდელ მდგო[illegible] ერთხელ და გარკვევით [illegible] ეროვნული მოთხოვნილება.

დღემდის პოლონეთის მდგომარეობა წააგავდა „ყოველ ღირსება-ახდილ და გაციმბირებულ ადამიანის" მდგომარეობას და ხალხის საზოგადო ცხოვრებასაც ემჩნეოდა ორნაირი მიმართულება. ზევით,—მორჩილება, თვალთმაქცობა და მონობა, დაბლა, ხალხში კი—სარევოლუციო მოქმედება, მთავრობის აშკარა წინააღმდეგობა და აჯანყება.

მაგრამ რაკი მთავრობის მოწინააღმდეგეს, რევოლუციის მომხრეს არ ჰქონია და დღესაც არა აქვს ადგილი საზოგადო, ოფიციალ ცხოვრების ასპარეზზე,—ამიტომ ყველგან დღემდის მხოლოდ ისინი მოსჩანდნენ, ვინც მთავრობის ფეხთა მტვერია, მისი მონა და ერთგული. მხოლოდ ასეთი პირები ლაპარაკობდნენ და მოქმედებდნენ მთელ პოლონეთის სახელით.

მაგრამ შეიცვალა მდგომარეობა. ცხოვრების ბუნებრივ მსვლელობას ვერ შესცვლის მთავრობის ბრძანება და ამ ბრძანების აღმასრულებლების სურვილი.

პოლონეთშიაც შეუძლებელი შეიქმნა ხანგრძლივად ხალხის დამონება და სიჩუმე. აქა-იქ მოისმის უფრო თავისუფალი ლაპარაკი და გაბედული მოქმედება. თანდათან ამოიღო ხმა ერის უმეტესობამ, რომელიც არ ემხრობა სარევოლუციო მოძრაობას და ამასთანავე არ უნდა და არ ცდილობს მორჩილებით, ხვეწნით, ერთგულობითა და ტირილით [illegible] მთავრობის სიყვარული და მოწყალებასავით მიიღოს მისგან რამე უფლება.

[illegible] ამბობენ პოლონეთში ზოგიერთები, სა[illegible] რუსეთმა, თუ რას ფიქრობენ [illegible] და რის [illegible] შემდეგ [illegible] თავის საკუთარ საქ[illegible] კულტურაში, მაგრამ [illegible] ცხოვრობს კიდევ მრა[illegible] წარმომადგენელიც და ყვე[illegible] რუსეთის მომავალ წესწყო[illegible] [illegible]ლდებულია ეცადოს, საქმე [illegible] არის ჰქონდეს რომლობა ეროვნულ საკითხის შესახებ. რუსეთი, რომლის აშენებაში, თვით რუსებს გარდა, ყველა იღებდა მონაწილეობას განურჩევლად ეროვნებისა—ეკუთვნის ყველას და რუსებს არავითარი უფლება არა აქვთ მიისაკუთრონ რუსეთი, თავიანთი თავი გამოაცხადონ ბატონად და დანარჩენ ერების წარმომადგენელნი კი—რუსების ქვეშევრდომებათ.

რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში ხშირია ლაპარაკი იმაზე, რომ მომავალი ბედნიერება უნდა ერგოს ყველას, ყველა ერის, ყველა სარწმუნოების წარმომადგენელსო; მაგრამ ეს სიტყვა ნამეტანი გაუგებარია,—არაფრის მთქმელი.

საჭიროა, უფრო მეტი გულ-ახდილობა, უფრო გარკვევით იმის თქმა, თუ როგორ ესმის რუსეთის ჟურნალ-გაზეთობას ასეთი თანასწორობა, როგორ, რა ზომებით, რა წესის დამყარებით შეიძლება ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა რუსეთში.

მაგრამ თვით რუსები თუ ვერ ახერხებენ ამის შესახებ გადაჭრილ აზრის გამოთქმას, სხვებს მაინც მისცენ უფლება გააგებინონ რუსებს ან მთავრობას თავიანთი სურვილი და მოთხოვნილება.

შეიძლება ზოგიერთი სურვილი ჯერ-ჯერობით შეუსრულებელიც იყოს, მაგრამ მათი გამოთქმა მაინც არის საჭირო, რომ ერთად მცხოვრებმა ერებმა გაიგონ ერთმანერთის იდეალები.

პოლონელებში ახლად შემდგარი და მეტად გავრცელებული პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულება ამ მხრივ მეტად საგულისხმოა, ვინაიდან ამ მიმართულების წარმომადგენელნი გულ-წრფელად და გარკვევით აცხადებენ, თუ რა არის მათის აზრით აუცილებლად საჭირო პოლონეთისთვის.

აგერ რამდენიმე ხანია,—ამბობენ ისინი,—ძალა-უნებურად დამუნჯებულია ხალხი. მთავრობის [illegible]ები ლაპარაკობდნენ დღემდის ხალხის სახელით, და, ვინც ამათ არ ეთანხმებოდა, ძალა-უნებურად უნდა დასდგომოდა აჯანყების გზას, ვინაიდან უთანხმოების გამოსათქმელად ყოველგვარ სხვა გზა და საშუალება იყო დახშული. ჩვენ არ გვინდა მთავრ[illegible] მონობა, მაგრამ ამასთანავე არა გვსურს მთავრობასთან ბრძოლაში დავქსაქსოთ, დავასუსტოთ ხალხის ძალ-ღონე, ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად ვიცავთ ჩვენს ეროვნებას და გარუსება არ გვინდა. გვინდა ჩვენთვის, ჩვენი ერისათვის მოვიპოვოთ ყოველივე საპოლიტიკო უფლება და საზოგადოდ ვცდილობთ პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად მოვიპოვოთ კულტურული თავისუფლებაც, ვინაიდან გადაგვარების გზაზე დამდგარი ადამიანი იგივე მონაა სხვა ერისა, მისი კულტურის მონა!..

რუსებს თუ არა აქვთ აზრად ააშენონ თავიანთი ბატონობა რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში ძალაზე და მხოლოდ ძალაზე და, თუ ჰსურთ მიიღონ მხედველობაში ყველა ერის კულტურული იდეალებიც, უნდა ცდილობდნენ, შეიტყონ ეხლავე ყველას სურვილი.

ამ აზრით პროგრესიულ-დემოკრატული ჯგუფი აცხადებს რუსულ გაზეთებში თავის გეგმას. ამ გეგმაში არც მაღალ-მაღალი სიტყვები არის, არც ბუნდათ გამოთქმული აზრი, არც გაუგებარი დაპირება,—პოლონელები მოკლედ და გარკვევით ამბობენ შემდეგს:

1)—პოლონელებს უნდა დაუბრუნდეს ის პოლიტიკური წეს-წყობილება, რომელიც იმათში მოსპო რუსეთმა. პოლონეთი არ უნდა ითვლებოდეს რუსეთის ადმინისტრატიულ ნაწილად და უნდა შეადგენდეს ცალკე ერთეულს, სახელმწიფო უფლებების მქონე, ცალკე სახელმწიფოსავით მოწყობილს.

2)—პოლონელებმა უნდა მიიღონ ავტონომია. ამ ავტონომიის წესები უნდა შეიმუშაოს პოლონელების საერთო კრებამ, სეიმმა, რომლის წევრებიც უნდა იყვნენ ამორჩეული ხალხისაგან ფარულის კენჭის ყრით. პოლონელები არ არიან თანახმა, რომ რუსეთმა ავტონომიის მაგიერად მისცეს მათ მონაწილეობა სრულიად რუსეთის პარლამენტში,—პოლონელები ითხოვენ, რომ მათ პოლონეთშივე ჰქონდეთ საკუთარი პარლამენტი.

3)—ლიტვაში და უკრაინის იმ ნაწილში, სადაც პოლონელებთან ერთად ცხოვრობენ სხვა ერების წარმომადგენელნიც, პოლონელებს უნდა მიენიჭოს დანარჩენ მცხოვრებლებთან ერთად ყველა სამოქალაქო და ეროვნულ-კულტურული უფლება უმეტნაკლებოდ, სავსებით.

4)—ჯერ-ჯერობით, სანამ იქმნება შემუშავებული პოლონეთის კონსტიტუცია და სანამ შემოვიდოდეს პოლონეთში საკონსტიტუციო წესები,—პოლონელები ითხოვენ, დაუყოვნებლივ შემდეგ უფლებათა მიღებას:

ა) პოლონური ენა უნდა იყოს ეხლავე შემოღებული, როგორც ოფიციალი ენა, მთელ პოლონეთში ყველგან—სასწავლებლებსა, სასამართლოს, ადმინისტრაციასა და საზოგადოდ ყველა დაწესებულებაში.

ბ) უნდა იყოს გამოცხადებული კრებების [illegible] [illegible]არის, სარწმუნ[illegible]ბისა და ლაპარაკის. მუშა ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება—შეკავშირდეს ან გაიფიცოს საკუთარ ინტერესების დასაცველად.

გ) პოლიციას არ უნდა ჰქონდეს უფლება შეეხოს თავის ნებით ადამიანს, ან მის სადგომში შევიდეს.

დ) უნდა მოისპოს პოლიტიკურ საქმეებზე ადამიანის ადმინისტრატიულ წესით გასამართლება. უნდა ეპატიოს სასჯელი ყველას, ვინც ყოფილა წინედ გასამართლებული პოლიტიკურ საქმისა გამო. ადმინისტრაციის განკარგულებით ჩამორთმეული უფლება უნდა დაუბრუნდეს ეხლავე ყველას.

ე) პოლონელებს უნდა მიენიჭოს შუაგულ რუსეთის მკვიდრთა არა ნაკლები სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლება.

ვ) უნდა იყოს შემოღებული სავალდებულო და უფასო პირველ დაწყებითი სწავლა; საქმის მოწყობა ან მართვა-გამგეობა უნდა მიენდოს თვით ხალხს, მისგან არჩეულ პირებს.

ზ) ქალაქებში და სოფლად უნდა იყოს შემოღებული ყველგან თვითმმართველობა. საარჩევნო უფლება უნდა მიენიჭოს ყველას. ამ თვითმმართველობას უნდა ჩაბარდეს პოლონეთში ყველა ადგილობრივ საქმის მართვა და გამგეობა.

ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილი მოთხოვნა,—პროგრესიულ-დემოკრატების სიტყვით,—როდია რამოდენიმე მეთაურის, რამდენიმე გატაცებულ მამულიშვილისაგან მოგონილი იდეალები. ამის სურვილი ღრმად არის ჩაბეჭდილი ერის გულსა და სულში. ამ იდეალებს ემსახურება არა მარტო ეხლანდელი თაობა, არა,—ამ იდეალების შემქმნელი, ამ იდეალებისათვის მებრძოლეა თვით ერი. ეს იდეალები წარმოშობა ერის წარსულმა, მისმა კულტურამ, მისმა თანამედროვე ცხოვრებამ და ამიტომ შეუძლებელია მათი შეცვლა მოტყუებით, მათი მოსპობა ძალით.

ადრე იქნება თუ გვიან, ეს იდეალები უნდა განხორციელდეს და განხორციელდება უთუოდ!..

პოლონელების დამშვიდება, მათთან ერთად იმავე სახელმწიფოში რუსების ცხოვრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქმნა შესრულებული ყველა მათი კანონიერი სურვილი. მაგრამ, სამაგიეროდ არ შეიძლება არ აჯანყდეს მთელი პოლონეთი, თუ ვინიცობაა, რუსებმა მოისურვეს შემდეგშიაც პოლონელების შევიწროება.

პოლონელები ძლიერნი არიან, როგორც თავისუფალ კულტურის მქონე ერი, ვინაიდან არა-[illegible] ერს, რომელსაც უნდა თვითონ სიცოცხლე. ეროვნულ ბრძოლაში რიცხვით მრავალი ერი ყოველთვის არ რჩება გამარჯვებული. ხშირად და ძალიან ხშირად იმარჯვებს უფრო მცირე, პატარა ერი.

ერთობა ჰქმნის ძალას და პატარა ერებში უფრო ხშირია ერთობა.

ერთობა აუცილებელია ეროვნულ ბრძოლაში.

აუცილებელია აგრეთვე გაბედულობაც, ვინაიდან შეერთებულ, შეკავშირებულ ერისაგან გაბედულად წარმოთქმულ მტკიცე სურვილებს ძალა-უნებურად ყურს უგდებს და ემორჩილება ყველა ამ ერის მტერიც.

პოლონეთის პროგრესიული დემოკრატებიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მალე და უთუოდ ასრულდება მათი გაბედულად წარმოთქმული სურვილიც: პოლონელებმა იციან, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, უნდა აიღონ რუსებმა ხელი სხვების გარუსებაზე.

თვით რუსები ისეთი უკულტურო ჩამორჩენილი ხალხია, რომ არავითარი უფლება არა აქვთ სხვებს გარუსებით მიაჩეჩონ თავიანთი კულტურა.

მოვა დრო და გაძლიერდება კულტურული, ეროვნული ბრძოლა, ყველა ერი ეცდება თავის ეროვნულ უფლების დაცვას, საამისოდ შეერთდება ყველა ეროვნება იმ ერის საწინააღმდეგოდ, რომელიც ეცდება სხვის დაჩაგვრას.

მოვა დრო და რუსეთში მცხოვრები სხვა ერებიც მოითხოვენ პოლონელებსავით თვით-მმართველობას, ავტონომიას, ვინაიდან მხოლოდ ამ სახით შეუძლიან რუსეთის ყველა ერს პოლიტიკური ცხოვრება ერთად...

ს—ლი..

სიმინდის მთოხნელი.

ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი მინდორში სიმინდის მთოხნელს. ჩოხა გახდილი ჰქონდა, მოკლე, ლურჯი პერანგი შარვალიდან ამოშვებოდა, საკინძე გაეხსნა და წელში წახრილიყო.

— გამარჯვება! —მივეც სალამი.

თოხნას ხელი შეუშვა, მაღლა აიხედა და მიპასუხა:

— ღმერთმა გაღლეგრძელოს!

იქვე დიდი კაკლის ხე იდგა. ფესვზე ჩამოვ[illegible] [illegible] მომაობა თვალს [illegible] [illegible] ხელით [illegible] თქვა: [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნებოდა თუ სად იგი უნდა მომხდარიყო უთუოდ. ტეის საქმე, კორეაში გადასკლა მხოლოდ უკანასკნელ მიზეზად შეიქმნა,—ის იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო ფიალა.

იქ, მანჯურიაში, ორი სახელმწიფო,—იაპონია და რუსეთი,—დაუპირდაპირდა ერთმანეთს, ორივეს ბატონობა უნდოდა, ორივე იმ ადგილებში ფეხის მომაგრებას ცდილობდა უთუოდ.

რუსეთი, დიდი ხანია, იწევს ჩინეთისაკენ. 1858—60 წ.წ., როდესაც ჩინეთი, ინგლისისა და საფრანგეთისაგან დამარცხებული, ხმის ამოღებასაც ვეღარ ჰბედავდა, რუსეთმა დაისაკუთრა ჩინეთის ერთი ნაწილი ვლადივოსტოკამდე. 1861 წ. რუსეთის სამხედრო გემმა დაიჭირა კუნძული ცუშიმა კორეასაკენ მიმავალ გზაზე და მხოლოდ ინგლისის საქმეში ჩარევამ აიძულა რუსეთი, აეღო ხელი ამ კუნძულის დასაკუთრებაზე. შემდეგ კუნძული სახალინიც გადავიდა რუსეთის ხელში.

1895 წ. რუსეთმა ასესხა ჩინეთს 400 მილიონი ფრანკი და დაარსა ჩინეთში რუსეთ-ჩინეთის ბანკი, რომელიც ცდილობდა რუსეთ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობა შეექმნა და გაეძლიერებინა.

სხვა-და-სხვა ნავთ-სადგურიც ჩაიგდეს ხელში რუსებმა იქაურ მხარეში. 1898 წ. 15—17 მარტს რუსეთმა აიღო ჩინეთისაგან იჯარით ნავთ-სადგურები პორტ-არტური და ტალიენვანი და იქაური ზღვის ნაწილიც,—პირველად 25 წლის ვადით. ააშენა ახალი რკინის გზები, ახლი ქალაქი დალნიც.

1900 წ. ბოქსერების არეულობამ შეუწყო ხელი რუსების გაძლიერებას მანჯურიაში. რუსეთმა თავის ქონების,—რკინის გზის,—დასაცველად აჯანყებულებისაგან, შეიყვანა მანჯურიაში დიდ-ძალი ჯარი და შემდეგ, აჯანყება რომ დასრულდა, ეს ჯარი იქვე დასტოვა.

რუსეთის მთავრობა არწმუნებდა ქვეყანას, არ მინდა სხვისი ადგილების დასაკუთრებაო, მაგრამ საქმით თავისავე სიტყვას არღვევდა და მანჯურიაში იქცეოდა ისე, როგორც საკუთარ სახლში.

მაგრამ ამნაირ მოქმედებას მიაქციეს ყურადღება ევროპის სახელმწიფოებმა და მოითხოვეს, რომ რუსეთს გაეყვანა ჯარი მანჯურიიდან.

1902 წ. 20 იანვარს ინგლისი შეუკავშირდა იაპონიას აღმოსავლეთ აზიაში საერთო მოქმედებისთვის. იმავე წლის 8 აპრილს რუსეთი დაჰპირდა ჩინეთს წელიწად-ნახევრის შემდეგ, ე. ი. 1903 წლის დამლევს, გაეყვანა ყველა თავისი ჯარი მანჯურიიდან.

მაგრამ ამასთანავე გამოცხადდა რუსეთ-საფრანგეთის ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც ამ ორ სახელმწიფოს ერთმანერთისათვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ შორეულ აღმოსავლეთში.

კორეაში, როგორც მანჯურიაში, რუსეთი თანდათან ცდილობდა გაბატონებას. მაგ., 1903 წ. მაისში გაგზავნა რუსეთმა იქითკენ ჯარი, რომ ამნაირად ჰქონოდა გავლენა კორეის მთავრობაზე. სხვათა შორის, დიდი ტყეები ჩაიგდო კორეაში იჯარით რუსეთმა.

მანჯურიაში და კორეაში თანდათან წინ იწევდა რუსეთი, რკინის გზის აშენების შემდეგ მაინც დიდ-ძალი რუსობა მიაწყდა მხარეს.

იაპონელები ხედავდნენ რუსების წინსვლას, და შიშობდნენ, რომ რუსეთის გაძლიერება დამღუპველი იქმნება იაპონელებისათვის, რადგანაც ყველგან, სადაც მოიმაგრა ფეხი რუსეთმა, თავისუფალ ვაჭრობის მაგიერად შემოიღო მფარველობითი სისტემა, იაპონელ ვაჭრებს აუკრძალავდნენ ვაჭრობას, იაპონიიდან შემოტანილ საქონელს მაღალ ბაჟს დაადებდნენ და ამნაირად შეაფერხებდნენ ვაჭრობას.

ვაჭრობა კი იაპონიისათვის ამჟამად აუცილებელი რამეა. 1828 წ. იაპონიაში ცხოვრობდა 27 მილიონი, 1875 წ.—34 მილიონი და ეხლა-კი—თითქმის ასი მილიონი. იაპონია მდებარეობს კუნძულებზე, გარშემო ზღვა აკრავს, თვით ეს კუნძულები ისე მჭიდროდაა დასახლებული, რომ თავისუფალი ადგილი არ არის არსად.

ხალხის გამრავლებამ და უადგილობამ იაპონია სამრეწველო სახელმწიფოდ გახადა. სოფლის მეურნეობა ვეღარ აკმაყოფილებდა ხალხს. გაჩნდა ქარხნები, იმატა ვაჭრობამ. 1883 წ. იაპონია თუ ას მილიონ იენისას ანუ თითქმის 100 მილიონ მანეთისას ვაჭრობდა უცხო ქვეყნებთან, 1903 წ. იაპონიის საზღვარ-გარეთის ვაჭრობა ავიდა თითქმის 606 მილიონ იენზე. იაპონიას გააქვს საზღვარ-გარედ ქარხნების ნაწარმოები და შემოაქვს სამაგიეროდ შესამუშავებელი მასალა და თავისი საკვები.

იაპონია ვაჭრობს უმთავრესად აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთში, კორეაში; ცხადია, ამიტომ, რომ იაპონიისათვის მეტად საჭირო არის, ეს ორი ქვეყანა მის ვაჭრობისათვის ყოველთვის ღია რჩებოდეს.

მაგრამ რუსეთი გადაეღობა წინ იაპონიის ვაჭრობას, რაკი რუსებმა, საზოგადოდ, ვერ გამოიჩინეს საჭირო უნარი ვაჭრობის საქმეში, ამიტომ რუსეთის მთავრობა ყველგან, სადაც მოიკიდებდა ფეხს, სხვა-და-სხვა კანონის გამოცემებით უწევდა მფარველობას თავისიანებს, ხელს უშლიდა ვაჭრობაში უცხოელებს, სხვათა შორის, იაპონელებსაც.

ამნაირად იაპონელები თხოულობდნენ თავისუფალ ვაჭრობას, რუსები კი ცდილობდნენ თავისიანებისთვის მონოპოლიისა და პრივილეგიების მოპოვებას და ამისთვის, სადაც სხვა საშუალება არ გადის, ძალასაც ხმარობდნენ.

იაპონიის ბუნებრივ ზრდას აღმოსავლეთ აზიაში ხელს უშლიდა რუსეთი და ამიტომ, ადრე იქნებოდა თუ გვიან, უთუოდ ომი უნდა მომხდარიყო.

ამის აუცილებლობა კარგად შეიგნეს ადრევე იაპონელებმა და ამიტომ იმ თავითვე შეუდგნენ საომრო თადარიგს. წინად თუ მხოლოდ ვაჭრობა-მრეწველობაში ცდილობდა იაპონია ევროპის წაბაძვას, ეხლა სამხედრო საქმეშიაც ეცადა ამასვე. უმთავრესი ყურადღება მიაქცია ჯარის გამრავლებას და ფლოტის გაძლიერებას.

ჯარსა და ფლოტზე იხარჯებოდა 1895 წლამდის ხან 20, ხან კიდევ 22 და 23 მილიონი იენი. 1895 წ. შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც რუსებმა დაატოვებინეს იაპონელებს ჩინეთთან ომის დროს დაჭერილი პორტ-არტური და მისი მიდამო, ჯარისა და ფლოტის ხარჯი უცებ მატულობს და ადის 1896 წ. 73 მილიონ იენზე, 1897 წ.—110 მილიონზე, 1900 წ.—133 მილიონამდე.

მთელი სახელმწიფო ხარჯების 40 % მიდიოდა იაპონიის მოსამზადებლად ომისათვის. შემოსავალი რომ არ ყოფნიდა, არ ერიდებოდნენ არც სესხს და არც იმას, რომ ხარჯი შემოსავალზე მეტი შექმნა.

1895 წლამდის საზოგადო სახელმწიფო ხარჯი შემოსავალზე ნაკლები იყო: ხან 10 და ხან 14 მილიონი იენი რჩებოდა ზედმეტად. 1895 წლის შემდეგ კი დეფიციტი გამოჩნდა ჯერ 59 მილიონი იენი, მერმე 90, 80, ბოლოს 60 მილიონი.

რუსეთის დიპლომატია, რომელმაც ასეთი გამჭრიახობა გამოიჩინა ადგილების დასაკუთრებაში, ვერ ხედავდა იაპონიის მომზადებას, ან ხედავდა და არ სჯეროდა, რომ იაპონია, რაღაც აზიის სახელმწიფო, მასთვის, ძლიერ სახელმწიფოსთვის როდისმე საშიში შეიქმნებოდა.

ამ საქმეში დიპლომატიის გულუბრყვილობა, მისი დაუდევრობა საოცარია. მის თვალ წინ ორმოც-და-ათი მილიონ ხალხის წარმომადგენელი მთავრობა ას მილიონობით ხარჯავდა საომრად, უმატებდა ჯარს, აშენებდა სამხედრო გემებს, გაჩქარებული ნაბიჯით მიეშურებოდა განვითარების გზაზე,—და ამას ვერ ხედავდა ვერავინ.

იაპონია სოფლის მეურნეობას ტოვებდა, ხალხი მრეწველობას მისდევდა, მრეწველობისთვის იყო საჭირო ბაზარი, ამ ბაზრად გამოდგებოდა მხოლოდ მანჯურია და კორეა და არავინ არ ფიქრობდა, რომ იაპონია ეცდება ეს ბაზარი არ ჩაუგდოს ხელში სხვა ვისმე, მით უფრო რუსეთს, რომელიც უკრძალავდა იაპონელებს თავისუფალ ვაჭრობას.

იაპონიაში მრავლდებოდა ხალხი, არ ეტეოდა საზღვრებში, მისთვის იყო საჭირო დასასახლებლად ახალი ადგილები და ბრძოლით, სისხლის ღვრით დაჭერილ ადგილებსაც უკანვე ართმევდნენ.

ამიტომ ცხადია, რომ 1903 წ. დამლევს, როდესაც რუსეთს პირობის ძალით უნდა გაეყვანა ჯარი მანჯურიიდან, იაპონიაც გაერია საქმეში და მოითხოვა, ეს პირობა უთუოდ ასრულებულიყო.

რუსეთმა ჩვეულებრივს ხერხს მიმართა,—ცდილობდა როგორმე გაეგრძელებინა მოლაპარაკება და ამ გვარად დარჩენილიყო მანჯურიაში.

მოლაპარაკების დროს რუსეთი თანდათან მეტ ჯარს გზავნიდა მანჯურიისკენ. ამავე დროს გავრცელდა ხმა, რომ რუსებმა კორეაშიაც დიდძალი ადგილები დაიჭირეს იჯარითო.

ამან გაუწყვიტა მოთმინების ძარღვი,—იაპონელები ხედავდნენ, რომ ან ეხლავე უნდა დაწყებულიყო ომი, ან მანჯურია მათთვის თითქმის სამუდამოდ დაკარგულიყო.

დიდი ფიქრი არ იყო საჭირო,—დაიწყო ომი...

რასაკვირველია, რუსეთი თავიდანვე დაუთმობდა იაპონიას და ომს თავიდან აიცილებდა, რომ მოწინააღმდეგის ძალღონეზე ნამდვილი წარმოდგენა ჰქონოდა.. მაგრამ იაპონიას არ იცნობდნენ,—ბევრი ფიქრობდა რუსეთში, ეს ომი ჩვენთვის გათამაშება-განავარდება იქნებაო...

მაგრამ იაპონელებმა არ გაამართლეს ეს მოლოდინი...

ახალი ამბავი

✦ მკითხველებმა იციან, რომ გუშინწინ მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ მალამას წარუდგა დეპუტაცია და იშუამდგომლა—გურიაში გაგზავნილი ჯარი უკანვე გამოეწვია. დეპუტაციაში იყვნენ: ტფილისის თავად-აზნაურობის მარშალი თ-დი დ. მელიქიშვილი, ქუთაისის თავად-აზნაურობის მარშლის თან. აღმასრულებელი თ-დი დ. ნიჟარაძე, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლები, ბათუმის ქალაქის მოურავი თ-დი ანდრონიკაშვილი, ქუთაისის ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი გველესიანი, შემთხვევით ტფილისში მყოფნი ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი ბ-ნი მ. თუმანიშვილი და თ-დი ნ. თავდგირიძე, ქართულ პრესის წარმომადგენელნი ბ-ნი ა. ჯაბადარი და კ. ჯაფარიძე (თუმცა ტფილისის საზოგადოებამ დეპეშით სთხოვა ოზურგეთის მაზრის მარშალს თ-დ. კ. ერისთავსა და ფოთის ქალაქის მოურავს ნ. ნიკოლაძეს ჩამოსულიყვნენ ამ საქმის გამო, მაგრამ ისინი ვერ ჩამოვიდნენ). გუშინ გენერალმა მალამამ დეპუტაციას შეატყობინა, **ჯარი ნატანებში გაჩერდება** და ამასთანავე ერთად გურიაში იგზავნება ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი, რომელსაც მინდობილი აქვს ადგილობრივ გამოიკვლიოს გურულების მოთხოვნა—საჭიროებანი. ბ-ნი სულთანი-ყირიმ-გირეი სოფელ-სოფელ ყრილობებს მოახდენს და ბჭობას იქონიებს ხალხთან. ინტელიგენციის წარმომადგენელთ არ ეკრძალებათ ხალხში მსვლელობა იქონიონ. პრესსას შეუძლიან ამ ფრიად საყურადღებო საგანზედ მსჯელობა იქონიოს, რამდენადაც ეს საჭირო იქნება საქმის გამოსარკვევად.

✦ ხმა დადის, რომ **კავკასიაში ნამესტნიკობას აწესებენ** და ნამესტნიკად ნიშნავენ უმაღლეს სასახლის მინისტრად ნამყოფს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვსო.

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** წერილებით შეეკითხა სხვა-და-სხვა პირთ კავკასიის დაბა-ქალაქებში, სურთ თუ არა, რომ მათ დრამატიული საზოგადოების სახელით მართონ **წარმოდგენები პროვინციებში.** წერილები გაიგზავნა გორს, ბაქოს, ბათუმს, ახალციხეს, სიღნაღს, თელავს, ერევანს, სენაკს, სოხუმს, სურამს, ოზურგეთსა და კაეკავში. ასეთი განზრახვა გამგეობისა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პროვინციებში წარმოდგენების გამართვის ნებას ადგილობრივი პოლიცია არ აძლევს კერძო პირთ.

✦ ტფილისის ქალაქის **საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფს თ-დ სვიატოპოლკ-მირსკის გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:** ტფილისის ქალაქის საბჭო დიდად სწუხს, რომ თქვენ საპასუხისმგებლო თანამდებობას—შინაგან საქმეთა მინისტრობას თავი დაანებეთ, და ამასთან ერთხმად გიცხადებთ ღრმეს თანაგრძნობას იმ მოღვაწეობისათვის, რომელმაც მოკლე ხანში შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. მტკიცედ გვრწამს, რომ რუსეთის მომავალი აღდგენა ხელმეორედ დაგიბრუნებთ ძალღონეს, რომელსაც, დარწმუნებულნი ვართ, განახლებულ რუსეთის ჰუმანიურსა და მაღალ მისწრაფებას შესწირავთ.

✦ **გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. მელიქიშვილს** და ტფილისის ქალაქის მოურავს [illegible] მოუვიდა **დეპეშა ბაქოდან** [illegible] საგან. მელიქ-ალამალოვი [illegible] მეს მადლობას ბაქოში [illegible] ამბებში ჩარევისათვის და, სხვათა შორის, სწერს, თავ. ამილახვრის ჩამოსვლას ხალხი თანაგრძნობით მიეგებაო.

✦ ქალაქის მეპურეები სთხოვენ ქალაქის გამგეობას პურზე **ნიხრის მომატებას,** რადგანაც ფქვილის ფასმა აიწიაო. ამაზე სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ბაბოვმა განაცხადა, რომ ფქვილის ფასები იგივეა, რაც იყო, და საჭირო არ არის ფასების მომატებაო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს ნიხრის დამწესებელ კომისიას, ამ საგანზე თავისი აზრი გამოსთქვას.

✦ **ქალაქის საყასბოს ზედამხედველი ბეითალი** კანცელმახერი სთხოვს ქალაქის გამგეობას: შემატყობინეთ, რითი ვიხელმძღვანელო დაზღვეულ ოთხ-ფეხ საქონლის საფასედ ფულის განაწილების დროს, რადგანაც ნიხრი გაუქმებულიაო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, იხელმძღვანელოს იმ ნიხრით, რომელიც ქალაქის ხორცის დუქნებშია დაწესებული.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა, ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლს სთხოვოს, რომ **დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნეს თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი კრება.**

✦ **ტფილისში ჩამოვიდა** ბათუმის ოლქის სამხედრო **გუბერნატორი** გენ.-მაიორი დრიაგინი, რომელიც კავკასიის უმაღლესს ადმინისტრაციას უნდა მოელაპარაკოს ბათუმის ოლქის მცხოვრებთა **გამოწვეულ მღელვარების** გამო.

✦ **მე-16 მინგრელიის პოლკის უფროსი** სწერს ქალაქის გამგეობას: პოლკისთვის თოფის სასროლად დანიშნული მოედანი უვარგისია და სხვა ალაგი მოგვეცითო.

✦ 16 თებერვალს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ტფილისში **გარდაიცვალა** პირველი ვიკარი საქართველოს ეპარქიისა, გორის **ეპისკოპოსი ბენიამენი.**

✦ გუშინ დაიწყო **ელექტრონის ტრამვაის მოძრაობა** ვერის დაღმართზე.

✦ ბაქოს მცხოვრებმა მარქაროვმა ითხოვა ქალაქის გამგეობაში, **ტფილისის ნავთის ადგილები** ნავთლუღში გადმომეცით იჯარით, ორმოცი წლის ვადით და იმ პირობით, რომ ამოღებულ ნავთის $^1/_6$ ქალაქმა მიიღოო.

✦ 16 თებერვალს გორის მაზრის სოფ. გულისის მცხოვრებელს დ. ქობულაშვილს განუცხადებია პოლიციისათვის, რომ იმის სახელოსნოდან, რომელიც იმყოფება რიყის ქუჩაზე, თაიროვის სახლში, ვიღაცაც ღამე მოუპარავს 5 რეზინის სალტა, 135 მან. ღირებული.

✦ მეტეხის ციხის ზედამხედველს განუცხადებია პოლიციისათვის, რომ ციხის აფთიაქიდან სხვა და სხვა დროს ვიღებსაც მოუპარავთ წამლები. 15 თებერვალს მოპარულ წამლებით დაუჭერიათ ციხის უმცროსი ფერშალი ალ. პანფილოვი. პანფილოვმა განაცხადა, ეს წამლები მომცა ვადა-გათავებულმა ტუსაღმა პ. ტურენსკიმაო. ტურენსკი ქურდობაში გამომტყდარა.

ქუთაისის ამბავი

ქუთათური საქმეები.

სათავად-აზნაურო ბანკის გამგე „აპეკუნმა“ (ასე ეძახიან მელნიკოვს დღეს ქუთათურები) თავისი გულმოდგინე მზრუნველობის დასამტკიცებლად 13 თებერვალს მოიწვია ბანკის რწმუნებულნი არა ჩვეულებრივ კრებაზე. კრების განსახილველად მან თორმეტიოდე საკითხისათვის მოეყარა თავი. უპირველეს ყოვლისა წინადადება მისცა კრებას ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ რამდენისამე თვის წინეთ გარდაცვლილ ზედამხედველ კომიტეტის წევრის ალ. ნანეიშვილისათვის, რომლის შრომა დაუფასებელია ჩვენ ბანკისათვისო. ამას თავმჯდომარემ ბანკის სამოქმედო ასპარეზის გაფართოვების საკითხი მიაბა და სთქვა, რომ ყველა ჩვენი შუამდგომლობა ამის შესახებ სამინისტროს არ დაუმტკიცებია და ხელ-ახლა ვიშუამდგომლოთ, რომ სამოქმედო ასპარეზი გაგვიფართოვონო. სამტრედია, ყვირილა, ახალ-სენაკი, ოზურგეთი და სხვ. ადგილების მცხოვრებნიც ამასვე თხოულობენო. კრებამ შუამდგომლობის განმეორება დაადგინა.

შემდეგ ცხარე პრინციპიალური ლაპარაკი გამოიწვია გაზეთებში ბანკის განცხადების ბეჭდვის საკითხმა. დღემდის მსესხებლები ათ მანეთს იხდიდნენ სავაჭროდ დანიშნულ მამულების განცხადებებისათვის; 13 თებ. კრებაზე კი დაადგინეს ეს გადასახადი გაანახევრონ. თავმჯდომარეს სიტყვით, ბანკს ეს განცხადებები 8160 მან. უჯდებაო. დღემდის ვალდებული ვიყავით, წესდების ძალით, დაგვებეჭდა განცხადება პეტერბურგის სამს გაზეთში: «Прав. вѣст.», „Вѣст. Фин.“ და „Нов. Вр.“, ადგილობრივ. „Губ. вѣд.“, „Кав.“ და ერთ-ერთ ქართულ გაზეთში. ახლა კი ვიშუამდგომლოთ პეტერბურგის მარტო „Пр. вѣс.“-ში დაიბეჭდოს ჩვენი განცხადებები და ერთ ქართულ და ერთ რუსულ ადგილობრივ გაზ. „Кав.“-ო.

ამ საკითხის განხილვის დროს დამსწრე საზოგადოება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო. ზოგი: სერგო ჯაფარიძე და გრიგოლ გველესიანი—ამტკიცებდნენ, რომ პეტერბურგის გაზეთებში ჩვენი ბანკის განცხადების ბეჭდვა ჩვენთვის სრულიად უსარგებლო და უმიზნო არისო. იქ ჩვენი მსესხებლები არ სცხოვრობენ და თუნდაც რომ სცხოვრობდნენ იმ სიშორიდან აქ ისინი არ ჩამოვლენ. რაც შეეხება აქაური ბანკის ტირაჟების გაგებას, ამის შესახებ გაზეთ „Кав.“ საშუალებით პეტერბურგელებიც გაიგებენ, რადგან ეს მთავრობის გაზეთია და იგი ყოველ იქაურ დაწესებულებას მისდის. ხოლო დანარჩენებმა თავმჯდომარის სიტყვას დაუჯერეს და დაიჟინეს, რომ მთავრობის ერთ-ერთ გაზეთში უნდა ვბეჭდოთ განცხადებაო. ამას ჩვენ დიდხნის შემუშავებული ნორმალი წესდებაც გვავალებს და მის ძირითად შეცვლაზე დღეს ლაპარაკი არ შეგვიძლიაო, ბევრის მსურველს ცოტაც აღარ შეგვრჩება ხელშიო, მთავრობა სხვა ნაირად შეხედავს ამ საქმესო, და სხვა-და-სხვა.“ დღეს სხვა რისიმე ფიქრი [illegible] მიჭქვიაო,—უპასუხა ბ. ს. ჯაფარიძემ,—ყველა ეს წესდება დაძველდა, ბიუროკრატიის ბატონობის დროს შემუშავებული წესდება აღარ გამოგვადგება, ვინაიდან თვით ეს ბიუროკრატია ამ ჟამად მიდის უფსკრულისაკენ. ბიუროკრატია ყველგან სხვა-და-სხვა დაწესებულების საშუალებით სწოვს და სწუწნის ხალხის ქონებას და ამიტომ დღეს მაინც უნდა ამოვიღოთ ხმა, რომ ჩვენ ბანკსაც ასეთი მფუწნელები მოუსპოსო. დღეს,—[illegible] გველესიანმა,—არა თუ ნორმალურ ან სხვა წესდების მოსპობას ცდილობენ,—მთელს რუსეთის მოწინავე საზოგადოებას და პრესას სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითად კანონების გამოცვლა-გაუქმებაზე აქვს ლაპარაკი და, ჩვენ რომ პეტერბურგის გაზეთებში ბანკის განცხადების ბეჭვდაზე უარი ვთქვათ, რაღა საკვირველი იქმნება და რატომ არ უნდა დაგვიკმაყოფილონ ასეთი შუამდგომლობაო.

ამ საქმეზე კამათი გამწვავდა. თ-დმა სიმ. წერეთელმა და დ. ნიჟარაძემ პრაქტიკული მოსაზრებით შერიგებაზე იწყეს ლაპარაკი და ურჩიეს კრებას: მართალია, ბევრს ვლაპარაკობთ ბიუროკრატიის მოსპობაზე, გაზაფხულზე და სხ. მაგრამ ყველა ეს ჯერ არ არის დამყარებული, ჯერ ისევ ბიუროკრატიის ხელში ვართ და ისევ მას უნდა მივმართოთ, ვსთხოვოთ ისეთი რამ, რის დაკმაყოფილებაც შეიძლება, თორემ დიდის და ბევრის ძებნაში პატარასაც დავკარგავთ და ჩვენც ბრიყვად ჩაგვთვლიანო. ამისთვის უმჯობესია, ვიშუამდგომლოთ განცხადება იბეჭდებოდეს ერთ-ერთ ქართულ გაზეთსა, „Кав.“ და „Пр. Вѣст.“-ში. კრებაც ამას დაეთანხმა. ამგვარად განცხადების ხარჯები ბანკს განახევრდება.

შემდეგ თავმჯდომარემ ბანკის დამფასებლებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ბანკი თავის სამოქმედო ასპარეზს თანდათან აფართოვებს, სამუშაო დამფასებლებს ბევრი აქვთ, საქმეს ვეღარ სდიან და ამისთვის წინდაწინვე გამოვითხოვოთ ნებართვა ორ დამფასებლის მომატებისა და ნებართვას მივიღებთ თუ არა, მაშინვე მოვიწვიოთ ამ ადგილებზე წინდაწინვე არჩეული პირები. მაგრამ თავმჯდომარის ამ წინასწარ შემზადებას ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა: უმჯობესი იქნება დამფასებლების რიცხვის გამრავლებას, ღირსებით გავაუმჯობესოთ ისინიო,—ლაპარაკობდნენ კრებაში,—ენერგიული, მშრომელი და გაგებული კაცები მოვიწვიოთ ამ თანამდებობაზე და ისინიც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ერთმა იქ დამსწრე დამფასებელმა ბ-ნ ვასილ თუმანიშვილმა განაცხადა, რომ დამფასებლები ადვილად მოახერხებდნენ საქმის შესრულებას, მათ ინსტრუქციაში, მოქმედებაში გონიერებას თუ შეიტანს ადამიანი, სამუშევარს რიგზე გაანაწილებდნენ და იქ სადაც მამულის დასაფასებლად ერთი ან ორი კაცის წასვლაა საჭირო, მთელ კომისიას და დირექტორებს არ გააყოლებთ და ამით, დროს დაკარგვის გარდა, ხარჯსაც არ გასწევს ბანკი და მსესხებელიო.

ამისათვისო, დაასრულეს სხვებმა, ნუ აჩქარდებით, აგერ მაისში მორიგი კრება გვექმნება და მაშ ამ საქმეს უფრო დაკვირვებით განვიხილავთო.

მაშ თუ დამფასებელ კომისიის წევრებზე უარ ასცხადებთ, ზედამხედველ კომისიის წევრები მაინ შემივსეთო, სთქვა თავმჯდომარემ, რადგან ერთი ს დორქიფანიძე ახალი სამსახურის გამო იძულებული თავი დაანებოს ჩვენი ბანკის საქმეებს. მეორე მშრომელ წევრი გარდაიცვალა, დაგვრჩა ოთხი, მაგრამ მათში თავად-აზნაურობის წინამძღოლი—ს. წერეთელი კრებებს ვერ ესწრება და სამსახურის გამო არა სცალია; საქმე კი ბევრია: ანგარიშები შესასწორებელი, მოხსენებები დასაწერი, და სხვა და სხვა. ბევრი ამათ ამორჩევას გადადებასაც უჩევდა კრებას, შემდეგში უფრო საქმის კაცებს მოვნახავთ ამ თანამდებობაზეო. მაგრამ საკენჭად მოსულებმა აჯობეს და კანდიდატებად თ-დი დავ. ნიჟარაძე, მოსე ქიქოძე და დავ. მდივანი გამოიყვანეს. გათეთრდა თავ. ნიჟარაძე რომელსაც ამოუვიდა 54 თეთრი და 2 შავი და დავ. მდივანი, ამოუვიდა 55 თ. და 1 შავი.

ის—არიძე

სავალდებულო დადგენილება

I

ქალაქ ქუთაისისა და მის მაზრისათვის, აგრეთ სენაკისა და ოზურგეთის მაზრებისათვის, [გამოც. თანახმად გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-15 სტატიის 1-ლი დამატ. 1-ლ სტ. მე-2 შენიშ. სახელმწ. დანაშ. დებულებისა, ტ. XIV კან. კრ., გამ. 1890 წ.].

თოფ-რევოლვერების ტარებისა და ყიდვის შესახებ. 1) ქალ. ქუთაისსა და მის მაზრაში, აგრეთვე სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში სასტიკად აღკრძალულია ყოველგვარი იარაღის: თოფისა, დამბაჩის, რევოლვერისა, ხმალ-ხანჯლის, ფინურ დანებისა, კასტეტების, ბებუთისა და მავთულიან ჯოხების ტარება. 2) განსაკუთრებულ შისაწყნარებელ შემთხვევაში შეიძლება ატარონ ხმალ-ხანჯალი, მხოლოდ ქუთაისის გუბერნატორის ნება-რთვა უნდა ჰქონდეთ. ამნაირ შემთხვევაში ნება-რთვის მისაღებად შუამდგომლობა უნდა წარადგინოს გუბერნატორს ქუთაისის პოლიცმეისტერისაგან, ხოლო მაზრებიდან-ბ[illegible] უფროსებისაგან; ნება-რთვის მოწმობა პირველ მოთ[illegible]ლებისათანავე უნდა წარუდგინოს პოლიციას; 3) სა[illegible]რო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეებს, რომ[illegible] კანონით ნება აქვთ იარაღის ტარებისა, არ შეეხებ[illegible] ხსენებული დადგენილება; 4) არავის [illegible] აქვს ნებ[illegible] რევოლვერებითა და დამბაჩებით ვაჭრობისა, ანუ [illegible]ნაირ სასროლ იარაღითა და ტყვია-წამლით, თუ ქუ[illegible] გუბერნატორისაგან წინ-და-წინვე არ ექნება [illegible]ული წერილობითი ნება-რთვა. თუ იარაღით მოვაჭრეს გუბერნატორის ნება-რთვა აქვს, უნდა წარუდგინონ დაუყოვნებლივ პოლიციას პირველ-მოთხოვნილებისათანავე, ან გუბერნატორისაგან დანიშნულს განსაკუთრებულს მოხელეს; 5) ვისაც იარაღით ვაჭრობის ნება-რთვა ექნება, მოვალეა შემოიღოს დადგენილ წესით განსაკუთრებული დავთრები, სადაც უნდა ჩაიწეროს ყოველი თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი, რაც კი მაღაზიაშია, და აღინიშნოს აგრეთვე, ვის, როდის და იარაღი ან ტყვია-წამალი უყიდნია და რომელ მოწმობის ძალით. ეს დავთრები რევიზიისა და შემოწმებისათვის უნდა წარუდგინოს პოლიციას პირველ-მოთხოვნილებისათანავე, ან გუბერნატორისაგან ამ საქმის თაობაზე საგანგებოდ დანიშნულს რწმუნებულს; 6) ბურღიანი თოფები და ყოველგვარ სისტემისა და ნიმუშის რ[illegible]რები, აგრეთვე მათი ტყვია-წამალი, შეუძლიან [illegible] მხოლოდ იმან, ვინც ქუთაისის გუბერნატორის წერილობით ნება-რთვას [illegible] მაღაზიის პატრონს, რომ ნება ეძლევა ზემოხსენებულ სასროლ იარაღის შეძენისა. ნება-რთვის ბარათში აღნიშნულ უნდა იყოს, თუ რამ[illegible] ნ. იარაღის შეძენა უნდა ბარათის წარმომდგენს; [illegible]ლისაგან მიტანილი ნებართვის ბარათი უთუოდ [illegible] შეინახონ მაღაზიის პატრონებმა, როგორც გასამართ[illegible]ლი საბუთი; 7) ეს სავალდებულო დადგენილება არ ეხება ხმალ-ხანჯლის ყიდვა-გაყიდვას; 8) ამ სავალდ[illegible]ლო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე [illegible] [illegible]ტრატიულ წესით, თანახმად სახელმწიფო[illegible] [illegible] უშიშროობის დაცვის შესახებ [illegible] მე-1[illegible] და მე-15 სტატიის [illegible] [illegible]ამოებულ[illegible]

რავდა, შემოაცლიდა ბალახს პატარა, ნორჩ სიმინდს, შემოაყრიდა გარშემო მიწას და წადგებოდა წინ.

ცხელოდა. ცაზედ ნამწეწი ღრუბელი არ სჩანდა. მზეს არაფერი არ უშლიდა დედამიწა გაეხურებინა და ჰაერი დაემძიმებინა. შორს მოსჩანდა ფერდობზე გაშენებული სოფელი, რომლის სახურავები ფოთლებით დაბურულ ხეხილთ შორის საწყლად გამოიყურებოდა. ხეების მწვანე, სუფთა ფოთლები ატკბობდნენ თვალს და თავის სიგრილეში უთმობდნენ ადგილს სიცხისაგან დასუსტებულს ჩიტებს. ძირს ველში დარბაისლურად და მედიდურად მიჰქშუოდა გველივით დაკლაკნილი მდინარე და თავის ზვირთებს მზის სხივებს უთამაშებდა. ირგვლივ მთებით შემოზღუდული მინდორი მთლად დათესილი და ამწვანებული იყო. პურს კარგად აეწია, მაგრამ ჯერ კიდევ ბალახსა ჰგავდა, სიმინდი იყო ნაზი, დაბალი და, თოხი დაჰგვიანებოდა, გაბალახებული იყო.

ყველაფერი ცოცხლობდა, ყვაოდა. საიდუმლო უხილავი შრომა გაჩაღებულ-გახურებული იყო. უანგარო ბუნება არავის არ ამჩნევდა, არ მსჯელობდა, არავის არაფრად აგდებდა, თავის საქმეს ასრულებდა. და აი ამ ბუმბერაზულ, დიდ ძალას თითქო ჰშველოდა და მის აურიცხველ და მრავალ-კეც საქმეში თითქო მონაწილეობას იღებდა მტვერი მისი—ადამიანი.—ნეტავ რას ჰფიქრობს?—ვმსჯელობდი მე,—მუდამ ბუნებას ჩაჰყურებს, მუდამ შრომაშია, იცის, რა არის ბუნება, რა არის შრომა? იცის, რა კანონები აქვს ბუნებას? ფიქრობს იმაზე, რომ ადამიანმა კანონები დაასახიჩრა, დაიმონავა? ესმის, რად ჰოვენ ლალას, რად ატანენ ძალას, რომ თავისი ნაშრომი გაუყოს სხვასაც? ჰფიქრობს ყველა ამაზე და დროს უცდის, რომ ხმა აიმაღლოს, თუ ესეც, როგორც თვით ბუნება, ძლიერია, დიადი, მაგრამ უსიტყვო, ამაყი, ანგარიშ-მიუცემელი?

ვიჯექ, შევსცქეროდი და ვფიქრობდი. ის იყო ზორბა ტანისა, ძარღვიანი, შუა-ხნის კაცი. სახე ჰქონდა შავი, მზისგან დამწვარი. შუბლიდან მსხვილი ოფლის წვეთები გადმოსდიოდა და გაჭუჭყიანებულ სახეზე უსწორ-მასწორო სველს ზოლებს სტოვებდა. უსიცოცხლო თვალები არაფერს გამოხატავდნენ. ვერ მივხვედრილიყავ, გულში რა ჰქონდა: მწუხარება თუ სიხარული. ვატყობდი მხოლოდ, სცხელოდა, ძალზედ სცხელოდა, მაგრამ შეუსვენებლად მუშაობდა.

პატარა გოგო მოგვიახლოვდა. ორივე ხელით რაღაცა მოჰქონდა. მოვიდა, შეშინებულის თვალით გამომხედა და კაკლის ქვეშ მიწაზე დასდო პატარა კოჭობი და წითელ ხელსახოცში გახვეული ჭადები.

მამამ ალმაცერად გაჰხედა ბავშვს, თითქოს დაგვიანებას უსაყვედურებსო და ხმა არ გასცა. ვგრძნობდი, წასვლა საჭირო იყო, მაგრამ სიზარმაცე მძლევდა.

ორივე ვსდუმდით, მე ფიქრებში, ის მუშაობაში გართული. არ მინდოდა წასვლა, მინდოდა მის სახეზე რამე ამომეკითხა—რაზედ ფიქრობს? რა აზრები უტრიალებს თავში?—ვიმტვრევდი თავს.

ფიქრები ელვასავით უსწრობდნენ ერთმანეთს, ერთი მეორეს სცვლიდნენ—რაზედ ჰფიქრობს?!

უცებ რაღაზედაც გული მომივიდა, კბილებს მოვუჭირე, თვალებში, ვიგრძენ, სიძულვილმა გამიელვა და ხმამაღლა ჩემთვის წამოვიძახე: **პირუტყვი!**

სრულ მყუდროებას არღვევდა შორიდან მოხწეული სიცხის, დაღლილობის დამავიწყებელი, მხიარული მუშური. აქა-იქ სივრცეში ბუზებივით მოსჩანდა ზოგან ერთი, ზოგან ორი, ზოგანაც ხუთი-ათი სიმინდის მთოხნელი.

ერთი წამი... და გაბოროტება, სიძულვილი გაჰქრა ჩემს გულში. შემრცხვა, ვიგრძენ, რომ მართალი არ ვიყავ, რომ ეს **პირუტყვი** თვითონ მე ვიყავ და გულის სიღრმიდან ამოვიკვნესე: **საბრალო!**

ორივე ვიტანჯებოდით: ის მზისგან, მე გამოურკვეველ ფიქრისაგან. მაგრამ ჩემი და მისი ტანჯვა განსხვავდებოდნენ. ერთს წამს წამროვიდგინე, რომ მე იმაზე უბედური ვარ: ამაყად დასცქეროდა თავის სიმინდს, მოუთმენლად ელოდა, როდის გაიძლებდა ლობიოთი მშიერ მუცელს, მზეს შეჰყურებდა და ანგარიშობდა, როდის მივიდოდა სახლში; ჩაწვებოდა ლოგინში, დაქანცულ სხეულს მოასვენებდა და ტკბილად დაიძინებდა. არც ძილის გაკრთომა, არც შფოთვა, არც სულელური სიზმრები!—**ბედნიერი!**—გავიფიქრე მე და ამ გარდაწყვეტილებას თითქმის დავადექ, მაგრამ შევხედე მის წახრილს ზურგს, გაოფლიანებულ პერანგს, მზეს, არე-მარეს და წამოვიძახე ისევ: საბრალო!!

წასვლა საჭირო იყო. ავდექ და გავშორდი. მაგრამ დიდხანს არ მცილდებოდნენ, ჩარხივით მიტრიალებდნენ თავში სიტყვები: პირუტყვი.... ბედნიერი.... საბრალო......

სვ. ყიფიანი.

დე[illegible]ამ სასჯელისა და ჯარიმის გადაწყვეტა, თანახმად გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-16 სტ. 1-ლ მუხლისა, მიმინდვია ქუთაისის გუბერნატორისათვის; 9) ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის 1-ლ მარტიდან 1905 წლისა; ამასთანავე ეს დადგენილება აუქმებს ქუთაისის გუბერნატორის მიერ 1901 წ. 21 იანვარს ქუთაისის გუბერნიისათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას. კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტ. მალამა. 15 თებ. 1905 წ., ქ. ტფილისი.

II

[illegible] ქუთაისისა და მის მაზრებისათვის, აგრეთვე სენაკისა და ოზურგეთის მაზრებისათვის, გამოც. თანახმ. გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-15 სტატიისა (1-ლი დამატება 1-ლ სტატ. მე-2 შენიშ. სახელმწ. დანაშაულობის დებულებისა, ტ. XIV კან. კრ., გამ. 1890 წ.). 1) აკრძალულია ქუჩებსა, მოედნებსა, სკვერებსა, ბაღებსა, რკინის გზის სადგურებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ყოველგვარი კრებანი და ყრილობანი ისეთ საგნებზე სათათბიროდ და სამოქმედოდ, რომელიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესიერების წინააღმდეგია; აკრძალულია აგრეთვე თავის მოყრა ცნობის მოყვარე საზოგადოებისა; 2) თავმოყრილნი მოვალენი არიან პოლიციის პირველ მოთხოვნილებისთანავე დაიშალნენ; 3) აკრძალულია სროლა თოფ-რევოლვერებისა, როგორც ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ისე სახლებიდანაც; 4) ვინც დაუყოვნებლივ, ყოვლის უარის უთქმელად, არ დაემორჩილება პოლიციის მოთხოვნილებას, აგრეთვე ვინც ამ სავალდებულო დადგენილების მე-3 მუხლს დაარღვევს, დაისჯება ადმინისტრატიულ წესით, თანახმად სახელმწიფოში წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ გამოცემულ დებულების მე-15 და 16 სტატიისა, დაჯარიმებულ 500 მანეთით, ან დაპატიმრებულ იქმნება 3 თვემდე. ამ სასჯელისა და ჯარიმის გადაწყვეტა, თანახმად გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-16 სტ, 1-ლ მუხლისა, მიმინდვია ქუთაისის გუბერნატორისათვის; 5) ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან; ამასთანავე, აუქმებს ქუთაისის გუბერნატორის-მიერ 1902 წ. ქუთაისის გუბერნიისათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას. კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ. ლეიტ **მალამა**. 15 თებერვალი, 1905, წ., ქ. ტფილისი.

სადღეისო

მცირე შენიშვნა

სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დიდი ხანია, ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაში სამართლიანი საჩივარი გაისმის ჩვენებურ სახალხო სკოლების უნაყოფობის გამო. ჩვენებურ სკოლების დაქვეითების მიზეზი ძალიან მრავალგვარია, შებრძოლება კი ყველა დამაბრკოლებელ მიზეზებთან აუცილებლად საჭიროა და სავალდებულო ყველა შეგნებულ პირისათვის, ვინც შეუძლიან დაეხმაროს და უშველოს ამ საქმეს; მაგრამ სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენებურ სახალხო მასწავლებელთა შორის პატიოსანი მუშაკი ამ წმინდა ასპარეზზე ძალიან იშვიათია; სადაა ჩვენში ისეთი სახალხო მასწავლებელი, რომელსაც პედაგოგის წმინდა დროშა მაგრად ეპყრას ხელში, თამამად მიდიოდეს გაკვალულ გზაზე, არ ღალატობდეს პედაგოგიის მეცნიერებას, სდევნიდეს და არ მისდევდეს ანტიპედაგოგიურ მოთხოვნილებებს, ბობოლათა უკანონო ბრძანებას და ან სწავლა-აღზრდის მეცნიერების სასწორს მრუდედ არ ხმარობდეს მოკეთეთა გულსაკლავად და მტერთა სასიხარულოდ.

დღეს თითქმის უბრალო წერა-კითხვის მცოდნე მუშებმაც გამოიღვიძეს და ფხიზლად შეხედეს ცხოვრებას; ისინი შეერთებულ ძალღონით ებრძვიან ცხოვრების უკულმართობას, ებრძვიან «ძალას დამჩაგვრელს და მისს უსამართლობას», ჩვენებურ მასწავლებლების უმეტესობას მოთმინებით მოუხრია ქედი უსამართლობის წინ, დაუვიწყნია თავისი წმინდა მოვალეობა საზოადოებისა და ერის წინაშე და, როგორც უტყვი არსება, ან ყურ-მოჭრილი ყმა, მხდლად ასრულებს ყველა იმ უკულმართ ბრძანებას, რასაც ჩასძახებენ მრუდე გზით მავალნი და ყალბი აზრების მქადაგებელი ბობოლები. ამის გამო ჩვენი მტრები ხშირად [illegible]ებაში მოდიან და მხიარულად ეგებებიან თავიანთი მავნე გეგმების განხორციელებას, რადგანაც იმედი აქვთ, რომ უფლებას მოკლებული ყურ-მოჭრილი ყმა ყველაფერში მორჩილებას გამოიჩენს, თუნდ ამ გვარი მორჩილება ერის კეთილდღეობისათვის საწინააღმდეგოც გამოდგეს.

[illegible]ოლე, — ადამიანის დამამშვენებელი სათნოება, ჩვენს მტრებს და მათ ყურმოჭრილ ყმებს განძრახ ჩაუკეტიათ მაგარ ყუთში, მაგრამ, [illegible] რომ [illegible] ადონ, — სიმართლის და[illegible] მო[illegible]ელია.

ჩვენებური სახალხო მასწავლებლები ხშირად [illegible] ვითარების [illegible]ბით ბევრი [illegible] გზას ადგია. [illegible] დაკვირვება სჭირია, ვინაიდან [illegible] შეჩვევა იცის და ჩვეულება ხომ რჯულზე [illegible]. ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებს, რომლებზედაც დამოკიდებულია სკოლის მომავალი, მოზარდ თაობის სვე-ბედი, საზოგადოებისა და ერის იმედი, აკლიათ ერთი რამ ძვირფასი განძი — თავისუფლება, რომ სალ პედაგოგიურ აზრების დაცვით თავისუფლად აწარმოონ სწავლა-აღზრდის საქმე სასწავლებელში. [illegible] პედაგოგს ზნეობრივ მოვალეობად უნდა [illegible] საქმით დაიცვას სალი [illegible], კრიტიკაში უდგეს [illegible] რაც ხელს უშლი [illegible] რიგიანად მოწყობას სკოლებში. [illegible] თავ[illegible] გულში ჩვენებური მასწავლებლებმა და გულზე ხელდადებით [illegible], რომ ისინი გულწრფელად ემსახურებიან განათლების საქმეს, [illegible] სალს პედაგოგიურ მიმართულებას ადგანან. ავიღოთ, მაგ., სრულიად უბრალო საგანი — სახელმძ[illegible] წიგნების არჩევა სკოლებისათვის. ყველ[illegible] დავეთანხმება, რომ სახელმძ[illegible]ბის [illegible] და შეადგენდეს სრულ[illegible] ავლებლისას, რომელიც პედაგოგებისაგან მოწონებულ სახელმძღვანელოებიდან არჩევს და შეაქვს თავის სკოლაში ისეთი წიგნები, რომლის ხმარებაც მისივე შეხედულობით მეტ ნაყოფს მოიტანს და ამიტომ სასურველია. ფრიად სამწუხარო მდგომარეობაში ვარდება ის პედაგოგი, რომელსაც იძულებენ სახელმძღვანელოს და უბრძანებენ, უნდა თუ არ უნდა ამ სახელმძღვანელოთი ასწავლე ბავშვებო. უფრო სამწუხარო მდგომარეობაში უნდა იყვნენ საბრალო ბავშვები, რომელნიც ნაძალადევად შემოღებულ სახელმძღვანელოებში ვერ პოულობენ სულისა და გულის გამაცხოველებელ მშობლიურ მასალას. რასაკვირველია ამისთანა ძალ-დატანების ნაყოფი ყველა მასწავლებელს უნახავს და სალოდავ ბავშვებსაც უგემიათ, მაგრამ შერგებიათ კი? დროა ამ საკითხსაც მიაქციონ ყურადღება თვითონ მასწავლებლებმაც და მოითხოვონ თავიანთ კანონიერ უფლების დაცვა. დროა, ჩვენი სახალხო მასწავლებლები შეერთდნენ, გამოირკვიონ მოქმედების ვრცელი პროგრამა და შეერთებულ ძალ-ღონით გაუძლვენ იმ მძიმე საქმეს, რომელიც უკისრიათ ერისა და შთამომავლობის წინაშე. დროა გამოვფხიზლდეთ და დავადგეთ ერის აღორძინებას! თორემ მუნჯურმა მეთოდმა ბევრი ჩვენთაგანი დაამუნჯა, მუნჯებმა-კი უსუსური მეტყველი არსებანიც მუნჯად გახადეს, და ყველა ეს და სხვა ამგვარი რამე ხეირს არ დაგვაყრის არც აწმყოში და არც მომავალში: შთამომავლობა კრულვით მოიხსენიებს ყველას, ვინც განძრახ და ძალად ამახინჯებს ერის მომავალს იმედს — მოზარდ თაობას.

სახალხო მასწავლებელი.

უცხოეთი

საფრანგეთი. კომბის გადადგომის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ლუბემ მიანდო ახალი სამინისტროს შედგენა ზომიერ რესპუბლიკელს რუვიეს, რომელმაც ჩააბარა მთავარი პორტფელები სამინისტროსი ზომიერ-რესპუბლიკელებს: ეტიენს, შომეს, დელკასსეს, ტომსონს. რუვიეს არა აქვს დამსახურებული ნდობა უკიდურესი რადიკალებისა და სოციალისტებისა და კარგად იცის, რომ დიდხანს ვერ გაუძლებს მათ შეერთებულ წინააღმდეგობას. ამიტომ, იძულებული შეიქმნა აღეთქვა რადიკალებისთვის, მეც კომბის გზას დავადგებიო. მან განაცხადა, რომ 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვის და ორ წლიდან საყოველთაო ბეგრის კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ, განხილულ იქმნება კანონ-პროექტი შესახებ ეკკლესის განცალკევებისა სახელმწიფოსაგან. ეს მოხდება არა უგვიანეს აპრილისა ანუ მაისისა. ამას გარდა სამინისტრო აპირობს აგრეთვე წარადგინოს კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებ მოხუცებულობისაგან.

ინგლისი. კამათი პალატის დათხოვნის შესახებ გათავდა არა მარტო ოპოზიციის დამარცხებით, არამედ თვით ჩემბერლენის დამარცხებითაც. ამ კამათიდან გამოირკვა, რომ ინგლისელებს ეხლა ბაქების საქმისათვის არა სცალიანთ. თვით ჩემბერლენსა სურს, რომ ახლანდელმა სამინისტრომ ერთი წელიწადი მაინც გასძლოს კიდევ, რადგან აუცილებლად მიაჩნია სამხრეთ-აფრიკელების დამშვიდება, ვინაიდან უამისოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ის ფული, რომელიც ინგლისს დაუხარჯავს ბურებთან ომზე.

— შარშან აგვისტოში ირლანდიის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკ-დონნელმა გამართა მოლაპარაკება ლორდ დენრავენთან, რომელმაც შეიმუშავა პროექტი ირლანდიის ავტონომიისა, ანუ ჰომრულისა. რასაკვირველია ამგვარი საქციელი მინისტრის ამხანაგისა არ მოეწონათ კონსერვატორებს, რის გამო მაკ-დონნელმა შესწყვიტა მოლაპარაკება ლორდ დენრავენთან. ამ გარემოებამ ძლიერ ააღელვა ირლანდიელი უნიონისტები, რომელნიც შეეკითხნენ ირლანდიის საქმეთა მინისტრს უინდგემს, მოგწონს თუ არა შენი ამხანაგის საქციელიო. უინდგემმა უარჰყო თავისი ამხანაგი და განაცხადა, რომ მაკ-დონნელი მხოლოდ დროებით არის თავის ადგილზეო.

ავსტრო-უნგრეთი. სელლმა და ვეკერლემ მოახსენეს იმპერატორს, რომ ეკონომიური განცალკევება უნგრეთისა ავსტრიისაგან, როგორც კოშუტის პარტიას უნდა, ძლიერ მავნებელი იქმნება უნგრეთისათვის ეკონომიურად და ეკონომიურ განცალკევებას ბოლოს პოლიტიკური ერთობის დარღვევაც მოჰყვებაო. რაც შეეხება კოშუტის პარტიის მოთხოვნას, რომ ჯარში უნგრების ენაზე სწარმოებდეს ბძანება და უნგრეთული ნიშნები იყოსო, ეს სრულიადაც არ არის საშიშარი ერთობისთვისო. იმპერატორი წინააღმდეგია ამ უკანასკნელი მოთხოვნილებისა.

შეერთებული შტატები. რუზველტმა შეუთვალა სენატს, სან-დომინგოს რესპუბლიკის საქმეებში იმიტომ ჩავერიეთ, რომ ამ რესპუბლიკას დიდი ფული ემართა სხვა სახელმწიფოების, რომელნიც სესხს ვერ დაიბრუნებდნენ, თუ არ დაეპატრონებოდნენ საბაჟო საქმეების მართვა-გამგეობას, ჩვენ კი, მონროეს პრინციპის თანახმად, ამას ვერ მოვითმენდით. ამიტომ იძულებულნი ვიყავით საქმეში ჩავრეოდით. ჩვენ სრულიადაც არა გვსურს ჩვენი სამფლობელოის გაფართოება, ჩვენ მხოლოდ თვალ-ყურს ვადევნებთ რესპუბლიკის შემოსავალს, რომლის ნაწილმა უნდა დაფაროს ჩვენ მიერ გაწეული ხარჯი და ნაწილმა უნდა გაისტუმროს მესესხებლებიო.

რუსეთი

პოლონელ ახალგაზდობის ადრესი. მოსკოვის უნივერსიტეტს მოუვიდა პოლონელებისაგან შემდეგი მისალმო[illegible] ადრესი:

„პოლონელ ახალგაზდობის ერთი ჯგუფი უძღვნის სალამს მოსკოვის დიდებულ უნივერსიტეტს, სადაც პოლონელების ტანჯული გული ისვენებდა ყოველთვის. აქ სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით მეტი თავისუფლება ეძლეოდა სტუდენტებს. მეცნიერებით გატაცებულს და მის მოსახურე პროფესორებს არ აკიწყდებოდათ [illegible] მიზნად პირიქით თავიანთ ცოდნით საზოგადო კითხვების გადაწყვეტაში გაეწიათ დახმარება სხვებისთვის. აქ, ამ სასწავლებელში, პოლონელები თავიანთ თავს ყოველთვის თავისუფლად გრძნობდნენ — რავდენი წელიწადია, აგერ იტანჯება რუსეთში პოლონელი ერი, მძიმე უღელი აწევს კისერზე, მოუსპეს ენის თავისუფლება, შეავიწროვეს ყოველ მხრივ, კანონიერების მაგივრად პოლონეთში ძალმომრეობა დაამყარეს და პოლონელების კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაგიერად არუსებდნენ ხალხს, რომელსაც ჰქონდა თავისი ენა, თავისი მწერლობა, დიადი წარსული და მომავლის ბრწყინვალე იმედი...

მხოლოდ აქ, მოსკოვის უნივერსიტეტში სუფევდა სრული თავისუფლება, მხოლოდ აქ ვხედავდით ჩვენ ეროვნულ ძმობას, და ამიტომ ვისურვებთ, რომ შემდეგშიაც იყოს იგი ეროვნულ ძმობის დარაჯად და ცდილობდეს, ყოველი ერის გაძლიერება იყოს დამყარებული სხვების გაძლიერებაზედაც, რადგანაც ამითი და მხოლოდ ამითი შეუძლიან რუსის ერს დანარჩენ ერების დამეგობრება". ამ ადრესს ასზე მეტი ახალგაზდა ხელს აწერს. («რ. ვ.»).

სომხების შუამდგომლობა. სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში ჩასულა სომხების დეპუტაცია, რომელსაც აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სომხის საზოგადოებას დაუბრუნდეს პლევეს დროს წართმეული საეკკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობის უფლება. ამ შუამდგომლობას განიხილავს მინისტრთა კომიტეტი. («პ. ლ.»).

მკვლელის ვინაობა. ვერას გზით ვერ გაიგეს დიდი მთავრის მკვლელის ვინაობა. უკანასკნელმა თავის ცხოვრების შესახებ კრინტიც არ დასძრა. გაზეთების სიტყვით, მას თავი ძალიან თამამად უჭირავს და ხანდახან ბრძანების კილოთი ლაპარაკობს. დიდი წინააღმდეგობა გასწია, როდესაც ტუსაღის ფარაჯას აცმევდნენ. («პ.»).

დეპუტატების არჩევა. 6 თებერვალს პუტილოვის ქარხანაში ათი ათასამდის მუშამ თავი მოიყარა წარმომადგენლების ამოსარჩევად. ორ საათზე უკვე ამორჩეული იყო 65 წარმომადგენელი, მათ შორის ერთი ქალი. ახლად ამორჩეულები შეიკრიბნენ მუშათა საჭიროების გამოსარკვევად. («პ.»).

მღვდელი-ჯაშუში. მაიკოპის რეალურ სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებელს მღვ. მ. პოპოვს, რომელიც მეტად გამსჭვალული ყოფილა „სამშობლოსა სიყვარულით", უანგაროდ ჯაშუშობა დაუწყვია: დაუბეზღებია ვიღაც ანტონოვი — ტოლსტოის იდეებს ავრცელებს, ეკკლესიაში არ დადის, პროპაგანდას ეწევა, ხალხს „აბუნტებს"-ო და კიდევ რაღაც უფრო საყურადღებო დანაშაულს აბრალებდა, ხოლო რა არის ეს „უფრო საყურადღებო დანაშაული", ჯერ ვერ გამოურკვევია პრესსას. ჟანდარმთა სამმართველოს გაუგზავნია ჟანდარმის აფიცერი საქმის გამოსაძიებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მღვ. პოპოვი სცრუობდა. ბ-ნი ანტონოვი უჩივის ჯაშუშ-მღვდელს ცილის წამებას. («ნ. ჟ.»).

მოსკოვი. 31 იანვარს შესდგა მოსკოვის მაზრის საერობო კრება. 19 ხმოსანმა წარადგინა განცხადება, სადაც, სხვათა შორის, შეეხო რუსეთის საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობას. „ამ დღეებში ჩვენ მთელ რუსეთთან ერთად გამოვცადეთ მეტად მწარე ტკივილი, რომელიც გამოიწვია ჩვენის ფლოტისა და პორტ-არტურის დაღუპვა, და მანჯურიაში ჯარების უკანასკნელ დამარცხებამ. არ დაგვვიწყებია არც დეკემბერში მომხდარი მოსკოვის ამბები, არც პეტერბურგის უკანასკნელი საშინელი შეტაკება. სამარისებური სიჩუმე, — ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში ჩამოვარდნილი, გვიკლავს გულს და გვტანჯავსო. ჩვენი ხალხი ათასობით იხოცება არეულობის დროს, რომელსაც ვერც ჩვენ ავცდითო." დასასრულ, ხმოსნები კითხულობენ, როდის გვეღირსება დამშვიდება და ცხოვრების განახლებაო. (პ. ვ.)

უცნაური ოპერაცია. 2 თებერვალს ვოლოგდაში გავრცელდა ხმა, ვითომც იმ დღეს ვიღაცეები აპირობდნენ გიმნაზიელების გალახვას. რამდენად განვითარებული ყოფილა იქაური საზოგადოება, იმით მტკიცდება, რომ ეს ამბავი დაიჯერა ყველამ. ან რად არ უნდა დაეჯერებინა, როდესაც უკვე რამოდენიმეჯერ მომხდარა იქ თურმე ბავშვების გალახვა ქუჩებში, ვითომ და პატრიოტულ მოსაზრებით, რომელიც გარეშე პირთათვის სრულიად გაუგებარი რჩება. (5. დ.)

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

პატივცემულ გაზეთის „კავკაზის" № 41, ტფილისის ქრონიკაში მოთავსებულია ამბავი კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელთან, გენერალ ლეიტენანტ ი. დ. მალამასთან წამდგარ დეპუტაციის შესახებ. ამ დეპუტაციამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის გუბერნიის მარშალი, ტფილისის ქალაქის თავი, შეიხ-ულ-ისლამის მოადგილე, საკრედიტო დაწესებულების წარმომადგენელი, გაზეთის სიტყვით, თხოვა მთავარ-მართებლის მოადგილეს, რომ ადმინ[illegible]ციამ ენერგიული ზომები მიიღოს ბაქოს დ[illegible]ვიდებლად". ტფილისის ქალაქის თავ[illegible] როგორც ქალაქში მცხოვრებ[illegible] მომ[illegible]ვიდებდი მონაწილეობას მთავარ-მართებელთან წამდგარ დეპუტაციაში, წილად მხვდა, როგორც თავადაზნაურობის წარმომადგენელს, ქალაქ ტფილისში მცხოვრებ ყველა წოდების და ეროვნების თხოვნათა გამომხატველი გავმხდარიყავი.

ამიტომ ვფიქრობ შევასწორო „კავკაზში" დაბეჭდილი ამბავი.

ქ. ტფილისის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ეთხოვნათ მთავარ-მართებლისაგან რამე ადმინისტრატიულ ზომების მიღება და მეც, როგორც მარშალს, არ შემეძლო მეჩვენებინა მთავარ-მართებლისათვის, თუ რა ზომები იყო მისაღები ამ საქმისათვის.

დეპუტაციამ სთხოვა მთავარ-მართებელს დაემშვიდებია ხალხი ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ამასთანავე დაასახელა მოწოდებული თ. ივანე გივის ძე ამილახვარი, — კავკასიის ყველა ერთა მმურად ცხოვრების მოსურნე, ყველასაგან პატივცემული ადამიანი, რომელმაც ჩვენებში სამსახურის დროს დაამტკიცა, რომ სასტიკ ზომების მიუღებლადაც შეიძლება აღელვებულ ხალხის დამშვიდება; დეპუტაციამ დაასახელა თ. ამილახვარი, როგორც ადამიანი, რომელსაც შეეძლო ჩამოეგდო სიმშვიდე ჩვენ მოძმეთა შორის ბაქოში.

სხვა არავითარი თხოვნა არ წარუდგენია დეპუტაციას. მეც პირადად, ოცი წლის გამოცდილების შემდეგ, არ შემეძლო მომეთხოვა ადმინისტრაციისაგან რამე ენერგიულ ზომების მიღება, რადგანაც ვიცი, რომ ამ ზომებს არ შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების სხვა-და-სხვა საჭიროება და მოაწესრიგოს წოდებრივი ან ეროვნული დამოკიდებულება, ადმინისტრატიულ ზომებს შეუძლია მხოლოდ დროებით გადადოს ყველა სადავო კითხვის გადაწყვეტა.

თავ. დავით მელიქიშვილი.

13 თებერვალი 1905 წ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

17 თებერვალი.

ტოკიო, 16 თებერვალი. ოფიციალურად. 14 თებერვალს საღამოს რუსებმა დიდ ზარბაზნებით ყუმბარები დაუშინეს იაპონელების მოწინავე რაზმების ბანაკებს რკინის გზის ხიდთან, 11 საათზე იერიშიც მიიტანეს და ორ მხრიდან შემოეხვივნენ იაპონელებს. რუსის ჯარის კაცები იაპონელების ტრანშეებშიც შეიჭრნენ და ხელდახელ შეებრძოლნენ. 23 თებერვალს დილით იაპონელებმა რუსები უკუ აქციეს, რომელთაც ბრძოლის ველზე 60 მოკლული და რავდენიმე იარაღიც დასტოვეს.

გაზეთების ცნობებით, რუსები ღამ-ღამობით რავდენსამე ადგილს იერიშით მიდიოდნენ. 14 თებერვალს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს რუსების ფრონტს, რომელიც პასუხს არ აძლევდა. 13 თებერვალს თოვლი მოვიდა, ყუმბარების სროლა არ შეწყვეტილა 15 თებერვლის დილამდე. სიცივე 29 გრადუსამდეა.

პეტერბურგი. დეპეშები გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა: 1) 15 თებ. თარიღით: როგორც დღევანდელ მოხსენებებიდანა სჩანს, მტერმა დღეს იერიში მოიტანა ჩვენს მოწინავე რაზმებზე ს. უბენეპუძასთან და უკუ იქცა. მეორე ჩვენი რაზმი მედგრად იბრძოდა ს. კუძიასთან, სადაც წინ და მარცხენა მხრივ მტერი დაეცა. ბრძოლის შედეგი ჯერ არ მოუხსენებიათ. ჩვენმა რაზმმა, რომელიც ს. ტომაგუშნისკენ გაიგზავნა, მტერი განდევნა ულელტეხილიდან, სამის [illegible]ვერსის მანძილზე ამ სოფლიდან, სამხრეთ-დასავლეთით. სახეპუსა და კაუტულინს შორის ჩვენს პოზიციებს მტერმა ყუმბარები დაუშინა სავაკეო და ციხის სანგრევ ზარბაზნებით; უფრო კი ნოვგოროდისა და პუტილოვის მაღლობებს ესროდნენ და 11 დიუმიანი ყუმყარებიც დაუმიზნეს. ჩვენი დანაკლისი ჯერ გამორკვეული არ არის, ხოლო ცოტა კი უნდა იყოს. ჩვენმა რაზმებმა გუშინ დაიჭირეს იაპონელების წინა სიმაგრენი შახეს მარჯვენი ნაპირს, იაპონელების იერიშს გაუმაგრდნენ და დღესაც ისევ ის ადგილი უჭირავთ. მეორე ზაზმმა გუშინ სამჯერ დაიჭირა ქალა შახეს მარჯვენა ნაპირს, ლამატუნის პირდაპირ, მაგრამ დილით თავის თხრილებისკენ დაბრუნდა, რადგან იაპონელების ტყვიის მფრქვევლებმა მეტად დააზიანა. 2) 16 თებერვლის თარიღით: როგორც წასულ ღამეს მომახსენეს, მტერმა ცხარე იერიში მოიტანა ჩვენს მოწინავე რაზმზე ს. უბენეფუზთან შუაღამისას და დილის 3 სათზე. პირველ და მეორე იერიშით მტერი ვერას გახდა, ხოლო მესამე იერიშის დროს, როცა ხიშტებით ბრძოლა ატყდა, იაპონელებმა შუაგული მაღლობი დაიჭირეს, რის გამო ჩვენმა რაზმმა უკან დაიწიაა. როგორც მაცნობეს, გუშინ საღამოს 9 საათზე, ჩვენმა რაზმმა ს. კუძიასთან თავისი ბანაკი შეირჩინა. პოლკოვნიკი კუკურანი დაიჭირა, ხოლო ისევ რაზმშია. გასტულინის პოზიციასთან იაპონელებმა იერიში დაიწყეს დილის 3 საათზე. ჩვენებმა მტერი რავდენჯერმე უკუაქციეს, მაგრამ იძულებულნი გახდნენ ორი სიმაგრე მიეტოვებინათ, რომლებიც მტრის ყუმბარებით განადგურებულია. დღესვე იაპონელებმა იერიში მოიტანეს ს. ნანშინპუზე, მდინარე შახესთან, ხოლო უკუქცეულ იქმნენ. ნოვგოროდისა და პუტილოვის მაღლობებსა და ჩვენ პოზიციებს საპდეპუსთან იაპონელები დღესაც ყუმბარებს ესვრიან. ზიანი მცირეა. დაიჭრა პოდპოლკოვნიკი კოსტროვი და შტაბს-კაპიტანი ჟერვე.

ტოკიო, 16 თებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა კამურამ აქ შეკრებილ გუბერნატორებს განუცხადა 13 თებერვალს, — ის ხმა, ვითომც ზავი მალე ჩამოვარდება, ტყუილიაო; ამასთანავე უარჰყო ის თქმულებაც, ვითომც იაპონიასა და ინგლისს შორის რაღაც უკმაყოფილება გაჩენილიყოს.

ლონდონი, 16 თებ. რუსის ელჩ[illegible] რეშე საქმეთა მინისტრს მოლაპარაკება [illegible] მეთევზეების დაჯილდოვების შესახებ, მაგრამ მოთხოვნილი თანხა იმაზე ნაკლებია, რასაც „რეიტერი" იუწყებოდა. გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა ჩენტელგეიმში და სთქვა, თუ მთავრობა ლიბერალთა პარტიისაგან შესდგა, იგი ყველაფერს აღასრულებს, რასაც კი იაპონიის კავშირი და საფრანგეთთან ხელშეკრულება [illegible].

ბრიტანიის კოლუმბია, 10 თებერვ. (რეიტერი). იაპონიის ბანკის დირექტორის თანაშემწე ტაკაგაშმა, რომელიც ნიუ-იორკს მიემგზავრება, იმედი გამოაცხადა, ომი მალე გათავდებაო.

ვენა. ტისსა იმპერატორმა აუდიენციაზე მიიღო. მარტის დასაწყისს იმპერატორი გაემგზავრება ბუდაპეშტს, სადაც კარგა ხანს დაჰყოფს.

ლონდონი. სადმირალოს პირველი ლორდი სტელბორნი ოფიციალურად დაინიშნა აფრიკის გენერალ-გუბერნატორად და ტრანსვალის მთავარ-მართებლად, მილნერის ნაცვლად.

პეტერბურგი, 17 თებ. მოსკოვის სამხედრო ოლქის კომანდერის თანაშემწე მალახოვი დაინიშნა ამ ოლქის კომანდერად.

ლონდონი. ბალფურმა მისწერა ერთ უნიონისტთა დეპუტატს, ირლანდიის ჰომრული მხოლოდ შესაფერ წუთს ელის, რომ ისევ საბრძოლო ნიშნად გადაიქცესო.

ბერლინი, 16 თებ. ხაზინის სტატს-სეკრეტარმა განაცხადა რეიხსტაგში, ახალი საბაჟო გარდასახადი 1906 წელს, როცა სავაჭრო ხელშეკრულობანი სავალდებულო გახდებიან, 70 მილიონით მეტს შემოსავალს მოგვცემსო.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **ალ. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამალიც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში [illegible]. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა"
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავს და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავისი[illegible] [illegible] ფასებში.